„ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“

სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში

1. ძირითადი დებულებები

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ მკაფიო ნება გამოხატა და მხარი დაუჭირა ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას.

საქართველოს ახალარჩეულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების მშენებლობის, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობის მიმართულებით.

წარიმართა მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, გაღრმავდა ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირსა და ნატოსთან. მიმდინარეობდა ქვეყნის გამთლიანების პროცესისთვის გზების ძიება აფხაზებსა და ოსებთან დიალოგისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით რუსეთთან მოლაპარაკებებში კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას; შრომისუუნარო მოქალაქეებს შეუქმნის ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოს და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას; იზრუნებს ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას.

2. მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა

საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტია კანონის უზენაესობის დამკვიდრება და ადამიანის უფლებების დაცვა. ამ პროცესში სრული მხარდაჭერის ნიშნად ევროკავშირმა მოავლინა თომას ჰამარბერგი – სპეციალური წარმომადგენელი კონსტიტუციურ და სამართლებრივ რეფორმებსა და ადამიანის უფლებების საკითხებში, რომელიც 2013 წლის იანვრიდან ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს მთავრობასთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმების განხორციელების პროცესში. ჰამარბერგის საქმიანობის შედეგები ასახულია სპეციალურ ანგარიშში - „საქართველო გარდამავალ ეტაპზე". ანგარიშში თავმოყრილია როგორც ბოლო პერიოდში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები, ისე რეკომენდაციები.

აღნიშნული რეკომენდაციების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობა გეგმავს ადამიანის უფლებათა 3–წლიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. მთავრობის განკარგულებით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომლის მუშაობაშიც სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად ჩართული იქნებიან ძირითადი საერთაშორისო და უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე სახალხო დამცველი. გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის საქართველოს დელეგაციის ხელშეწყობით, ასევე თომას ჰამარბერგის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით მთავრობა პირველად შეიმუშავებს და დაამტკიცებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილი იქნება ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც მთავრობამ უნდა გადადგას ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის სტანდარტის ამაღლების მიმართულებით. სამოქმედო გეგმის შემუშავების დასრულება დაგეგმილია 2014 წლის იანვრამდე. ამ პროცესს სრულად და ცალსახად მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება.

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლების რეფორმის პირველ ეტაპზე შემოღებულ იქნა საბჭოს წევრების არჩევის დემოკრატიული წესები, რომლებიც მოიწონა ვენეციის კომისიამ. პირველად ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა დემოკრატიული წესების დაცვით; საბჭოს არამოსამართლე 4 წევრი აირჩია პარლამენტმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან; სადისციპლინო კოლეგია გაიმიჯნა საბჭოსაგან და დაკომპლექტდა მოსამართლე წევრებითა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით, რამაც საფუძველი შეუქმნა კოლეგიის მიუკერძოებლობას მოსამართლეთა დისციპლინური დევნის განხორციელების პროცესში; სასამართლო დარბაზებში დაბრუნდა სატელევიზიო კამერები, რის შედეგადაც სასამართლო პროცესები საზოგადოებრივ კონტროლს დაექვემდებარა.

სახეზეა სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის სტატისტიკური მაჩვენებლები. უზენაესი სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდებაში სასამართლოს და პროკურატურის პოზიციების თანხვედრა 100%-დან 76%-მდე შემცირდა, ხოლო ადმინისტრაციულ დავებში 40%-ით გაიზარდა მოქალაქეთა სასარგებლოდ დასრულებული საქმეების მაჩვენებელი.

გატარებულმა ზომებმა ბიძგი მისცა სასამართლო სისტემაში დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებას, შეიქმნა მოსამართლეთა ალტერნატიული ასოციაცია, მოსამართლეები აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის წინაშე არსებული საკანონმდებლო გამოწვევების შესახებ დისკუსიებში. თუმცა, აუცილებელია რეფორმის გაგრძელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს რიგითი მოსამართლის გაძლიერება და ხელმძღვანელი მოსამართლისაგან მისი რეალური დამოუკიდებლობა. ამისათვის უკვე მომზადებულია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ამსახველი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

იუსტიციის სამინისტრომ გააცხადა მთავრობის ახალი სტრატეგია ევროპის სასამართლოში მიმდინარე დავების მორიგებით დასრულების თაობაზე. წინა წლებთან შედარებით საქართველოს წინააღმდეგ ევროპის სასამართლოში საჩივართა რაოდენობა 70 პროცენტით შემცირდა.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა

სამთავრობო პროგრამის თანახმად, ჰუმანური და დასავლური სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულების სისტემის შექმნის მიზნით, მუშაობა მიმდინარეობდა სისხლის სამართლის რეფორმის მიმართულებით.

სისხლის სამართლის რეფორმის ძირითადი მიზანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, მოდერნიზაცია და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

გაუქმდა დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა უპირობო შეკრების პრინციპი და შემოღებულ იქნა უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრი სასჯელის შთანთქმის პრინციპი. თუმცა, მისი გამოყენება კვლავ დასაშვებია რეციდივის შემთხვევაში, იმისათვის, რომ დანაშაულთან ბრძოლა პრიორიტეტად დარჩეს. გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა. ასეთი შესაძლებლობა მათ შორის ყოფილი მაღალჩინოსნებისთვისაც არსებობს. გაფართოვდა დაცვის მხარის უფლებები და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებმა რეალური შინაარსი შეიძინა. ყოველივე ეს ხორციელდება ამერიკელი და ევროპელი ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

განხორციელდა სამუშაოები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმის, ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის, „სისხლის სამართლის კოდექსის“ ზოგადი ნაწილის დახვეწისა და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ შექმნის მიზნით.

რეფორმები სასჯელაღსრულების სისტემის მიმართულებით

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით გაგრძელდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში. თავისუფლებააღკვეთილ პირთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად სარემონტო სამუშაოები შესრულდა სამ დაწესებულებაში, ხოლო ექვს დაწესებულებაში დაიწყო კაპიტალური

სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები. კეთილმოეწყო საზოგადოებრივი მისაღებების მიმდებარე ტერიტორიები. პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა კვებითი უზრუნველყოფის სრულყოფისათვის შეიქმნა კვების ახალი სტანდარტი სხვადასხვა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მსჯავრდებულთათვის. მრავალფეროვანი გახდა კვების მენიუ, გაიზარდა კალორაჟი და შენარჩუნდა სამჯერადი კვება. კვების ნორმები შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ სტანდარტებს. განახლდა ინვენტარი.

საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით საქართველოს მასშტაბით გაფორმდა ხელშეკრულება სამოქალაქო სექტორის 52 კლინიკასთან. დაკომპლექტდა ექიმი სპეციალისტების საკონსულტაციო პანელი, რომლითაც დაწესებულებებში ხელმისაწვდომი გახდა ვიწრო სპეციალობის ექიმების მომსახურება. ასევე საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება მედპერსონალი. გაფორმდა გრძელვადიანი თანამშრომლობის შეთანხმება სამინისტროსა და USAID-ს შორის აივინფექცია/შიდსისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. შემუშავებულია ,,C“ ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის პროგრამა და იწყება ამ დაავადების მქონე მსჯავრდებულთა მკურნალობა. წითელი ჯვრის რეკომენდაციის გათვალისწინებით, შემცირდა მსჯავრდებულთა რაოდენობა თითოეულ პჯდ-ის გუნდზე და 500 პატიმრის ნაცვლად შეადგენს 300 პატიმარს. გაიხსნა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და კომპანია „ეი-სი-თი-ეს – საქართველოს“ შორის დაიწყო გრძელვადიანი თანამშრომლობა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული საექიმო სამედიცინო პუნქტების/დაწესებულებების გადაიარაღების და მათი ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად. გაფორმდა სამმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმი სასჯელაღსრულების და ჯანდაცვის სამინისტროებსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის (შეთანხმება მოიცავს სასჯელაღსრულების სისტემაში ამბულატორიული რგოლის რეფორმის მეორე ფაზის განხორციელებას და პირველადი ჯანდაცვის მოდელის მთელს სისტემაში განვრცობას). შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავდა ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე დამოკიდებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროტოკოლი. ამ პროტოკოლით, დამოკიდებულების მოხსნა შეთავაზებული აქვს სისტემაში მყოფ ყველა მსჯავრდებულს. ამასთან, საძილე და სედატიური საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ქცევითი აშლილობის გამო, სამოქალაქო სექტორის ნარკოლოგიურ კლინიკებში სარეაბილიტაციოდ გადაყვანილია არაერთი მსჯავრდებული.

საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობის გასაზრდელად განახლდა სხვადასხვა საგანმანათლებლო, პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამები, სადაც ჩართულია 311 თავისუფლებააღკვეთილი პირი. ამასთან, თავისუფლებააღკვეთილ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება საწარმო ზონის შექმნა. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, პენიტენციარულ სისტემაში იქმნება სრულიად ახალი ტიპის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, რომელიც მდებარეობს თბილისში, გლდანის რაიონში და 2600 კვ.მ ფართობი უჭირავს.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეკონსტრუქცია და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა 100 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული საცხოვრებელი კომპლექსი. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების კუთხით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობისა და რისკების შეფასების შესაბამისად, დასაქმდა 71 პრობაციონერი. პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წელს საკუთარი ბიუჯეტიდან შეისყიდა ფსიქოსარეაბილიტაციო და სახელობო პროგრამები აჭარაში, სამეგრელოსა და კახეთში, რომლებშიც ჩართული იყო 1540 პრობაციონერი.

დაგეგმილია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსაგან იურიდიული დახმარების სამსახურის გამოყოფა და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება. ეს საკითხი განიხილებოდა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოადგინა საპილოტე პროექტის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი საადვოკატო მომსახურების დანერგვას. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, წარმოდგენილი კონცეფცია განიხილეს ადვოკატთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე მოსამართლეებმა და საზოგადოებრივმა ადვოკატებმა. წლის ბოლომდე, გაეროს განვითარების პროგრამის მხადაჭერით, დაგეგმილია იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნა მესტიაში. 2013 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა აწარმოეს 6800-ზე მეტი საქმე, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 55%-ით აღემატება. უფასო იურიდიული კონსულტაციით ისარგებლა 11 500-ზე მეტმა პირმა, რაც 2012 წლის მონაცემებს 21%-ით აღემატება.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის 2013 წლის იანვრიდან განახლდა არსებული სასწავლო პროგრამები და მომზადდა ახალი პროგრამები, რომლის მომზადებაში მონაწილეობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფედერალური სააგენტო. 2013 წლის მარტიდან NORLAG-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მოხდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებში დასანიშნი კანდიდატების გადამზადება. ტრენინგის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევდა NORLAG-ის წარმომადგენლობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, „საქართველოში სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ (Human Dynamics) ფარგლებში, მომზადდა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკებისათვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ექსპერტთა მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით განხორციელდა ტრენინგი თემაზე „მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის“.

პროკურატურის რეფორმა

სამთავრობო პროგრამის შესაბამისად, მთავარი პროკურატურა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამართალდამცავ ორგანოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. შესაბამისად, იუსტიციის მინისტრი აღარ არის გენერალური პროკურორის ფუნქციების მქონე თანამდებობის პირი და იგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, არ ერევა საპროკურორო უფლებამოსილებების განხორციელებაში. ქვეყნის მთავარმა პროკურორმა რეალურად შეიძინა ის უფლებამოსილებები, რომლებიც ამ თანამდებობას შეესაბამება.

საქართველოს პროკურატურის მიერ მითითებულ პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები თვით პროკურატურის სისტემის საქმიანობის გაუმჯობესების, სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

მოხდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. მნიშვნელოვნად შემცირდა პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა წინა წელთან შედარებით, სამჯერ შემცირდა გამოყენებული გირაოსა და ჯარიმის ოდენობები. გაიზარდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი. გაჩნდა პირველი პრეცედენტები იმისა, რომ პროკურატურამ და სასამართლომ უარი თქვეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე სისხლის სამართლის წარმოების პროცესში.

2012 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე პროკურორის მიერ სასამართლოს წინაშე 89 პირის მიმართ იქნა მოხსნილი უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად წარდგენილი ბრალდება, მაშინ როცა ანალოგიური ფაქტი 2012 წლის პირველ ნახევარში არ მომხდარა. მიმდინარეობს გამოძიებები მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ საკუთრების უფლების ხელყოფას, პოლიციის, პროკურატურისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ უკანონო მოქმედებებს ეხება.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდა პროკურატურის გახსნილობისა და ტრანსპარენტულობის მხრივ. რეგულარულად ტარდება შეხვედრები მასმედიის წარმომადგენლებთან, დიპლომატიურ კორპუსსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მომზადდა და უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა 2013-2014 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც წინა პლანზეა პროკურატურის სისტემური განახლება და მისი მხრიდან მაღალი საზოგადოებრივი ვალდებულების შესრულება. ასევე მომზადდა და იუსტიციის მინისტრს დასამტკიცებლად წარედგინა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები. მიმდინარე წლის ივლისში პროკურატურამ საზოგადოებას წარუდგინა ახალი ინიციატივა არამალადობრივ დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენებისა და ამ მხრივ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა

როგორც ცნობილია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდად დაცული უფლება, მუდმივად ირღვეოდა პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავრობამ აღმოაჩინა დიდი რაოდენობით სრულიად უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერები, რომლებიც ძირითადად შეიცავდა სხვადასხვა საჯარო პირის – პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, სასულიერო პირების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების პირადი და ინტიმური ცხოვრების ამსახველ ვიდეოკადრებს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებითა და ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის აქტიური მონაწილეობით, აღირიცხა და განადგურდა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო– და აუდიომასალა. აღნიშნულ პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები და განუხრელად იყო დაცული პირთა კონფიდენციალურობა. პროცესი მიმდინარეობდა სპეციალური კომისიის მეთვალყურეობით, რომელშიც შედიოდნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის შსს მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი, სახალხო დამცველი, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი, სასამართლოს წარმომადგენელი და არასამთავრობო სექტორის სამი წარმომადგენელი.

„პესონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად დაინიშნა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო საჭირო დაფინანსება საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის.

საქმიანობის პროცესში ინსპექტორი სარგებლობს სრული დამოუკიდებლობითა და ჩაურევლობით, ასევე დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი სამსახურის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

ინსპექტორის დანიშვნამ მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა უკანონო ჩანაწერების დამუშავებისა და განადგურების სწორი სისტემის შემუშავებაში. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ხელისუფლებამ განახორციელა „ღია მმართველობის პროექტი“. ეს პროექტი ითვალისწინებს ხელისუფლების ლიდერების რეგულარულ შეხვედრებს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. კვირაში ორჯერ სულ ცოტა ორი მინისტრი ხვდება მედიას „კითხვა-პასუხის“ გაფართოებულ სესიაზე. პრემიერ-მინისტრი სისტემატურად აწყობს ხანგრძლივ პრესკონფერენციებს, რომლებიც გრძელდება მანამდე, ვიდრე ყველა კითხვას პასუხი არ გაეცემა. არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მაჩვენებლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან არა მარტო გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკური მაჩვენებელი, არამედ გამოთხოვილი ინფორმაცია გაიცემა უფრო სრულყოფილად და ვადების მაქსიმალური დაცვით.

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო სტრუქტურებთან უწყებათაშორის თუ სხვა ფორმატებში. ყველა მნიშვნელოვანი კანონპროექტის შემუშავება თუ პოლიტიკის განსაზღვრა ხორციელდება მათი აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით.

საარჩევნო გარემო

მთავრობა ახორციელებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად.

პირველ რიგში, უარი ითქვა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მანკიერი და მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენებაზე. კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გადადგა მინისტრის პოსტიდან, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ ავალდებულებდა, რათა თავიდან აეცილებინა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების განცდის გაჩენაც კი.

წელს ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია პირველად დაიწყო არა მინიმალური 60 დღით ადრე, არამედ გაცილებით უფრო ადრე, რაც გულისხმობს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ამოქმედებას. მთავრობამ მოიწვია ყველა შესაძლო საერთაშორისო დამკვირვებელი არჩევნების თარიღის გამოცხადებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ეფექტიანად ფუნქციონირებს უწყებათაშორისი საბჭო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის, სადაც ყველა პოლიტიკურ ძალას და დამკვირვებელ ორგანიზაციას შეუძლია პრობლემური საკითხების განხილვა. უწყებათაშორისი კომისია გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პოლიცია ეფექტიანად იცავს კანდიდატთა უსაფრთხოებას.

პოლიტიკური პარტიებისათვის უზრუნველყოფილია თავისუფალი და კონკურენტული მედიაგარემო, რომელიც ყოველგვარი სახელისუფლებო ჩარევის გარეშე აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს საარჩევნო სიების დაზუსტებაზე. საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დაიხვეწება მონაცემთა ბაზები და დაზუსტდება საარჩევნო სია. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის კი შემუშავდება საარჩევნო სიების შედგენის ახალი მექანიზმი, რაც გულისხმობს მოქალაქეების ბიომეტრიული ფოტოსურათით წინასწარ რეგისტრაციას არჩევნებში ხმის უფლების მოსაპოვებლად. ამ ზომების გატარებით, საბოლოოდ, საქართველოს ექნება გაუყალბებელი საარჩევნო სია, რომლის განახლებაც სანდო მეთოდებით მოხდება.

3. საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო–პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მათ შორის, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების კუთხით, აგრეთვე ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით.

გაიმართა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, მათ შორის, მაღალი დონის ვიზიტები. ამ პერიოდში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეწვია საქართველოს მეზობელ და ევროკავშირის წევრ რამდენიმე სახელმწიფოს, მათ შორის, აზერბაიჯანს, თურქეთს, სომხეთს, პოლონეთს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს. მან მონაწილეობა მიიღო დავოსის ეკონომიკურ ფორუმსა და გერმანიაში, მარშალის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერეცნიაში. 2012 წლის 11-14 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა ბრიუსელში, სადაც გაიმართა მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეხვედრები ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესი დონის წარმომადგენლებთან.

გაფართოვდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გადაფარვის არეალი. გრძელდება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი. ბოლო პერიოდში საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 6 სახელმწიფოსთან. იგეგმება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება გაეროს წევრ დარჩენილ 11 ქვეყანასთანაც. საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხელი მოეწერა 33 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ოქმს, მათ შორის, 24 ორმხრივ, ხოლო 9 მრავალმხრივ ფორმატში, ამავე პერიოდში, ძალაში შევიდა 41 საერთაშორისო ხელშეკრულება.

2-4 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ყოველწლიური შეხვედრა. წელს, პირველად ქართული დიპლომატიის ისტორიაში, ამბასადორიალის გახსნა წარიმართა ფართო წარმომადგენლობით ფორმატში, რომელსაც ესწრებოდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირები, თბილისში აკრედიტებული დიპლომატიურ კორპუსი და ქართველი დიპლომატები.

22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით. მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხების შეთანხმებაში ადეკვატურად ასახვა. წინსვლაა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგზაო რუკით განსაზღვრული სხვა პრიორიტეტების შესრულების კუთხითაც. მათ შორის, შეთანხმებულია ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ ჩარჩო–შეთანხმების ტექსტი; ხელმოსაწერად მზადაა აგრეთვე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს ჩართვის პროტოკოლი. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების კუთხით, ვალდებულებების ოთხივე ბლოკის ფარგლებში. დაგეგმილია ევროპულ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების მიზნით მოლაპარაკებების დაწყება. ასევე ხორციელდებოდა პროექტები ევროკავშირთან ,,პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში.

მიმდინარეობს ინტენსიური მზადება, რათა საქართველო ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე წარდგეს კონკრეტული შედეგებით, მათ შორის, მოხდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება; წარმოჩინდეს მაქსიმალური პროგრესი სავიზო ლიბერალიზაციის გეგმის საკანონმდებლო ფაზის დასრულების თვალსაზრისით; გაფორმდეს ჩარჩო–შეთანხმება ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში მონაწილეობის თაობაზე. ასევე მიმდინარეობს აქტიური დიალოგი ევროკომისიასა და წევრ ქვეყნებთან სამიტის შემდგომი პრიორიტეტების ფორმირებაზე, მათ შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, შესაძლოდ მოკლე ვადაში ხელმოწერის შესახებ, ასევე სამომავლო პროგრესზე სავიზო ლიბერალიზაციის კუთხით.

ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისში გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის, ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა ტრანსპორტის მინისტრებისა და ევროკომისრის მონაწილეობით; აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პირველი მინისტერიალი, რომელმაც მიიღო „თბილისის დეკლარაცია“ თანამშრომლობის მომავალი პრიორიტეტების შესახებ. ასევე 2013 წლის 7-11 მაისს საქართველოში გაიმართა ევროპის კვირეული, ხოლო 11-12 ივლისს ბათუმში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ევროკავშირისა და ლიტვის რესპუბლიკის მხარდაჭერით ჩატარდა მე-10 საიუბილეო საერთაშორისო კონფერენცია ,,საქართველოს ევროპული გზა: ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორები - ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისკენ“. კონფერენციას დადებითად გამოეხმაურნენ როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლები, ისე სხვა ჩვენი უცხოელი პარტნიორები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ევროკავშირის დახმარების პროგრამები, რომლებიც ინსტიტუციონალური განვითარების ინსტრუმენტების მეშვეობით, მათ შორის, საბიუჯეტო დახმარებით, მხარდაჭერას უწევს საქართველოს სახელმწიფო უწყებებს ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაში. აღნიშნული ინსტრუმენტების ფარგლებში საქართველომ 2007-2013 წლებში დახმარების სახით დაახლოებით 300 მილიონი ევრო მიიღო, აქედან სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამების ბიუჯეტმა 209 მილიონი ევრო შეადგინა.

ევროკომისიასთან მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ევროკავშირის დახმარების ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის 2014-2020 წლების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება ისეთ სამთავრობო პრიორიტეტებს, როგორიცაა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება; მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერება; საჯარო სამსახურის გაძლიერება; საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებების განხორციელების მხარდაჭერა.

ნატოსთან თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებით დინამიკური და შინაარსობრივად დატვირთული იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი. უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტი 2013

წლის ზაფხულში. NAC-ის ვიზიტს საქართველოში წინ უძღოდა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ბრიუსელში როგორც უმაღლეს, ისე სამუშაო დონეზე, მათ შორის, საქართველოს პრემიერ–მინისტრის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან 2012 წლის ნოემბერში. გაგრძელდა და გაღრმავდა აქტიური პოლიტიკური დიალოგი ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში - საქართველოს ხელისუფლება ალიანსს ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა საქართველოში მიმდინარე მთელ რიგ პროცესებზე.

ქართული მხარე მონაწილეობდა ნატოს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებში, მათ შორის, 2013 წლის აპრილში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში, კერძოდ ISAF-ისა და 3+4 ფორმატის შეხვედრებში (თურქეთი, პოლონეთი, რუმინეთი + მონტენეგრო, მაკედონია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და საქართველო). ჩიკაგოს სამიტის შემდეგ ეს იყო ნატოს ასპირანტი ქვეყნების პირველი შეხვედრა ალიანსის წევრებთან. დღესდღეობით, 1600-კაციანი შემადგენლობით საქართველო ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის სამხედრო კონტინგენტის უმსხვილესი კონტრიბუტორია და მიუხედავად უმძიმესი დანაკარგისა, არ იგეგმება ჩვენი კონტინგენტის შემცირება ISAF-ის მისიის დასრულებამდე.

აშშ საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია. ვაშინგტონი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, დემოკრატიის განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას, რისი გამოხატულებაცაა აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, საქართველოს მიმართ აშშ-ის კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა და საქართველო-აშშ-ის ნაყოფიერი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. გასული ერთი წლის განმავლობაში ქარტიის ფარგლებში გადაიდგა რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯი. კერძოდ, თბილისში გაიმართა ქარტიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა; ამერიკულმა მხარემ უმასპინძლა ქარტიის ორ სამუშაო შეხვედრას (ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფისა და ხალხთაშორისი და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის რიგით მე-5 სამუშაო შეხვედრები). ქარტიის დემოკრატიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა თბილისში. წლის ბოლომდე იგეგმება ქარტიის სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენარული სხდომის – „ომნიბუს“ შეხვედრა. ასევე ვაშინგტონში გაიმართა „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCC) დირექტორთა საბჭოს შეხვედრა, რომელზეც საქართველოს მიენიჭა მეორე კომპაქტი (ხანგრძლივობა 5 წელი, გამოყოფილი დაფინანსება 140 მლნ აშშ დოლარი).

საქართველოს მთავრობის გაცხადებული პრიორიტეტია რუსეთის ფედერაციასთან არსებული ურთიერთობების ეტაპობრივი მოგვარება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად და საქართველოს ეროვნული ინტერესების, უპირველესად, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის საფუძველზე. დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. უკვე გაიმართა შეხვედრები (2012 წლის 14 დეკემბერს და 2013 წლის 1 მარტს - ჟენევაში, 5 ივნისს და 19 სექტემბერს - პრაღაში), რომელთა შედეგადაც: მინერალური წყლის 4 და ღვინისა და ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ 65 კომპანიას მიეცა რუსეთში საკუთარი პროდუქციის ექსპორტირების უფლება; გაიმართა მოლაპარაკებები ცხოველური და

მცენარეული პროდუქციის ექსპორტის აღსადგენად და საავტომობილო გადაზიდვების გაზრდისა და საჰაერო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით.

რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით საქართველომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ჟენევის ფორმატით განსაზღვრულ მოლაპარაკებებში (ამ დროისათვის უკვე გამართულია 24 რაუნდი), სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხია ძალის გამოუყენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პოზიციები უცვლელია, მხარეები დათანხმდნენ, რომ ჩაერთონ დოკუმენტის პროექტის შექმნის მომდევნო რაუნდში (ჟენევის მოლაპარაკებების ძალის გამოუყენებლობის განცხადების პროექტის მომზადებაში), რომელზეც ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები და მონაწილეები მუშაობენ. მაგრამ აღნიშნული განცხადების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი, საქართველოს მსგავსად, დათანხმდება ძალის გამოუყენებლობაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აწარმოებს კონსულტაციებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ-სახელმწიფოებთან ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით დოკუმენტის - ,,სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ - სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა და მისი ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენება საოკუპაციო ხაზების ორივე მხარეს არსებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის მიზნით.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად რჩება ნეიტრალური სტატუსის მქონე სამგზავრო დოკუმენტის საერთაშორისო აღიარება. ეს დოკუმენტი უკვე აღიარა იაპონიამ, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ლიტვამ, ლატვიამ, სლოვაკეთმა, აშშ-მ, ბულგარეთმა, პოლონეთმა, ისრაელმა, ესტონეთმა, რუმინეთმა. უნგრეთმა აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება ნეიტრალური დოკუმენტის ცნობის შესახებ და ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

საქართველო აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და ინსტიტუტთან არჩევნების თვალსაზრისითაც. საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების განხორციელების მიზნით, ოფიციალური მოსაწვევი წერილები გაეგზავნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს ევროპის საბჭოსთან ერთად შემუშავდა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების - ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სრულყოფილად შესრულების პროცესში საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია - „რუსეთი და საქართველო: ჰუმანიტარული მდგომარეობა კონფლიქტითა და ომით დაზარალებულ რეგიონებში“, რომელშიც აღნიშნულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია.

რეგიონალური თანამშრომლობის კუთხით აღსანიშნავია აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი, ტრაპიზონის დეკლარაციის ფარგლებში გამართული აზერბაიჯანისა და

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, სადაც ხელი მოეწერა 2013-2015 წლის დარგობრივი თანამშრომლობის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი პროექტებისა და კონკრეტული ინიციატივების განხორციელებას თავდაცვის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროებში.

2013 წლის 1 იანვარს საქართველომ ერთი წლით ჩაიბარა სუამის თავმჯდომარეობა, რისთვისაც შემუშავდა სპეციალური პროგრამა. ქართული მხარის ორგანიზებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მაღალი დონის ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, ამოქმედდა ფორმატები სუამი-იაპონია, სუამი-ვიშეგრადის ქვეყნები და სუამი-წყნარი ოკეანიის ქვეყნები.

წლის განმავლობაში გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომები ავსტრიასთან, პოლონეთთან, უკრაინასა და ყაზახეთთან. საქართველოში ჩატარდა ორმხრივი ბიზნესფორუმები შვედეთთან, სლოვაკეთთან, ჩეხეთთან, ჩინეთთან, უკრაინასთან, ავსტრიასთან, ისრაელსა და ბრაზილიასთან. გრძელდება ჩვენი რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა სატრანზიტო პოტენციალის კიდევ უფრო განსამტკიცებლად. შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი და სრულდება მუშაობა ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ ორმხრივ შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებს ახალი, უნიფიცირებული შეთანხმების პროექტის შემუშავებას, რომლითაც ქართული მხარე იხელმძღვანელებს პარტნიორ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დროს.

გრძელდება საქართველოს აქტიური მონაწილეობა კასპიის ზღვის რეგიონიდან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ალტერნატიულ პროექტებში, როგორც ევროპის ბაზარზე ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საშუალება. საქართველო წარმატებით აგრძელებს მონაწილეობას ფართომასშტაბიან საერთაშორისო ენერგეტიკულ/სატრანზიტო პროექტებში.

29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩები. მათთან 30 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებში არსებული გარკვეული დადებითი დინამიკისა, მოსკოვი კვლავ აგრძელებს უკანონო მოქმედებებს ოკუპაციის ხაზზე. მან მოუწოდა ევროკავშირს, გააძლიეროს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა და სათანადო რეაგირება მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მიმდინარე საგანგაშო ვითარებაზე.

4. ეკონომიკური პოლიტიკა და ფისკალური სტაბილურობა

ეკონომიკური პოლიტიკა

გლობალური ფინანსური და ეკონომიკური პროცესების ფონზე, საქართველოს მთავრობის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალური გეგმების შესრულების საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრება ეკონომიკურ დიპლომატიას. ამ თვალსაზრისით პრიორიტეტული მიმართულებებია: უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნა და ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება; მომსახურებაზე, სამუშაო ძალასა და კაპიტალზე თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყნის ენერგეტიკული და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა.

სამთავრობო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავების პროცესშია 2014-2020 წლების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებსა და შესაბამის ღონისძიებებს 2020 წლამდე.

სამთავრობო პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და ამ პროგრამით განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები. გაიმართა შეხვედრები ბიზნესის წარმომადგენლებთან ბიზნესისა და საინვესტიციო სფეროში არსებული პრობლემებისა და რეალური ვითარების უკეთ შესასწავლად. შედეგად, გატარდა და ახლაც გრძელდება შესაბამისი ღონიძიებებების განხორციელება, მათ შორის, საკუთრების უფლების დაცულობის გაზრდის მიმართულებით. ეს შეფასდა და სათანადოდ აისახა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებაში“ („The Global Competitiveness Report“) საქართველოსათვის მინიჭებულ გაუმჯობესებულ რეიტინგში. კერძოდ, აღნიშნული მოხსენების მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 148 ქვეყანას შორის საქართველომ 77-ე ადგილიდან 72-ზე (4,15-იანი ქულით) გადმოინაცვლა. კვლევის თანახმად, საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულია 114-დან 48 ქვეკომპონენტში.

დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის. 2013 წლის პირველ ნახევარში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 458.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო 2013 წლის მეორე კვარტალში, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 232.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7%-ით, ხოლო მიმდინარე წლის I კვარტალის მაჩვენებელს 3%-ით აღემატება.

2013 წლის იანვრიდან 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით, კლიენტთა მართვის (CRM) პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ინვესტორთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება საქართველოში არსებული და პოტენციური ინვესტორების შესახებ საერთო ინფორმაციის წვდომა და ანალიზი, რაც ხელს უწყობს რეინვესტირების მაჩვენებლის გაზრდას. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა საინვესტიციო საბჭო, რომლის მიზანია საინვესტიციო პროექტების ანალიზი და შესაძლო სახელმწიფო ხელშეწყობა.

2013 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 14%-ით და 1 761 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტი შემცირდა 4%-ით და 4 879 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0.1%-ით შემცირდა და 6 640 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2013 წლის იანვარ-აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 12%-ით გაუმჯობესდა და 3 119 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ამასთან, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 126 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, დადებითი სავაჭრო ბალანსი 39 ქვეყანასთან დაფიქსირდა, რაც 1 ერთეულით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2013 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან 34%-ით გაიზარდა, 319 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 18% შეადგინა, ხოლო იმპორტმა 1 450 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 30% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1 769 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა.

დსთ-ის წევრ–ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტი 24%-ით გაიზარდა, 979 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 56% დაიკავა, ხოლო იმპორტმა 267.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 26% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 9%-ით გაიზარდა, 2 246 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 34% დაიკავა.

რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 35.3%-ით და შეადგინა 426 მლნ აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 199%-ით, 84 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს ექსპორტის 4.8% დაიკავა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 19%-ით, 342 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს იმპორტის 7% დაიკავა. საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ნაწილობრივი აღდგენის შედეგად ზრდა დაფიქსირდა ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის სასარგებლოდ მოწესრიგდა უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ქართული ციტრუსის განბაჟებისას შექმნილი ვითარება. წლის განმავლობაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ კოორდინირებული თანამშრომლობით გრძელდებოდა საზღვარგარეთის ბაზრებზე ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია.

2013 წლის იანვარ–აგვისტოში საქართველოს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%–ით გაიზარდა და 383 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტმა 63.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 56%–ით გაიზარდა. ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტმა 61.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 67%–ით გაიზარდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა 31 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 25%–ით გაიზარდა. სიმინდის ექსპორტმა 7.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 48%–ით გაიზარდა. მზესუმზირის ზეთის ექსპორტმა 4.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველო-რუსეთის საზღვარზე ამოქმედდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბაჟო პუნქტი „ყაზბეგი“. საბაჟოს რეკონსტრუქციამდე დღეში მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატებოდა 5 000-ს. ამჟამად, ეს რიცხვი გაზრდილია 13 000-მდე.

2013 წლის ივლისში საქართველომ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც ქმნის საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების უნიკალურ შესაძლებლობებს. საქართველოს მთავრობა ახორციელებს სავაჭრო სფეროში ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო რეფორმებს ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, ისეთ სფეროებში როგორიცაა: ხარისხის ინფრასტრუქტურა, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და საბაჟო ადმინისტრირება. ამასთან, მიმდინარე წელს, საქართველოს მთავრობამ ევროკომისიას წარუდგინა ევროკავშირთან ცალმხრივი პრეფერენციული ვაჭრობის რეჟიმის (GSP+) გახანგრძლივებასთან დაკავშირებით მოთხოვნა და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა შრომის უფლებების, გარემოს დაცვითი და სხვა განსაზღვრული, საერთაშორისო კონვენციების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების საქართველოს მთავრობის მიერ შესრულების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც ევროკომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ–თან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე. მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილია ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომისა და მაღალი დონის სავაჭრო დიალოგის მოსამზადებელი შეხვედრის გამართვა ამერიკულ და ქართულ მხარეებს შორის.

წლის განმავლობაში გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომები ავსტრიასთან, პოლონეთთან, უკრაინასა და ყაზახეთთან. ასევე, საქართველოში ჩატარდა ორმხრივი ბიზნესფორუმები შვედეთთან, სლოვაკეთთან, ჩეხეთთან, ჩინეთთან, უკრაინასთან, ავსტრიასთან, ისრაელსა და ბრაზილიასთან.

ამასთან, შემუშავდა კანონპროექტი „ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიების შემოღების შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტის მიზანია ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდინებული გაზრდილი იმპორტისგან, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს მსგავსი და პირდაპირკონკურენტული საქონლის ადგილობრივი მწარმოებლებისთვის. მუშავდება აგრეთვე კანონპროექტი „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტისაგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა.

კონკურენტული ბაზრის განვითარების მიზნით, 2013 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო კონკურენციის განვითარების რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანტიმონოპოლიური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებისათვის, რომლის უმთავრესი მიზნებია: თავისუფალი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება.

ინვესტორისადმი მოპყრობის სამართლებრივი რეჟიმის დახვეწისა და ინვესტორისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესების დაბალანსების მიზნით, შესწავლილ იქნა საქართველოს მიერ გაფორმებული ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება და, საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდა კვლევა, რომელშიც იდენტიფიცირებულია პრობლემური სამართლებრივი საკითხები და ხარვეზები, აგრეთვე შემოთავაზებულია ასეთი ხარვეზების აღმოფხვრის გზები და სამოდელო მუხლები. აღნიშნული კვლევის საფუძველზე მომზადდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების სამოდელო პროექტი, რომელიც მომავალში უცხო ქვეყნებთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მოლაპარაკების პროცესში გამოყენებულ იქნება როგორც ხელშეკრულების ტექსტის სახელმძღვანელო მოდელი.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საპარტნიორო ფონდთან, რათა შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო პაკეტი საპარტნიორო ფონდის რეფორმირებისათვის, რაც ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის საწინდარი უნდა გახდეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და ქართველ და უცხოელ ინვესტორთა ჯგუფის დიდი მხარდაჭერით შეიქმნა „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“. კერძო საინვესტიციო ფონდი პოტენციურ ინვესტორებს ხელსაყრელ პირობებსა და განსაკუთრებულ შესაძლებელობებს სთავაზობს საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების განსახორციელებლად. დღეისათვის ფონდში მობილიზებული კაპიტალის მოცულობა 6 მილიარდი აშშ დოლარია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების – GIZ-ის და ადგილობრივი სპეციალისტების ჯგუფებთან თანამშრომლობით მუშაობს ,,სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ პროექტზე, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სივრცით დაგეგმარებასა და სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება ერთიანი პრინციპებისა და დებულებების საფუძველზე. ამასთან, 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე გაიცა 50 მშენებლობის ნებართვა, რითაც ხელი შეეწყო ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და ბოლო ერთი წლის განმავლობაში სანებართვო ობიექტების საერთო საინვესტიციო ღირებულებამ შეადგინა 3 200 000 000 ლარი, მათ შორისაა ისეთი ობიექტები, როგორიცაა: სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში) 56 კმ სიგრძის მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი - 2 744 720 000 ლარი; სამცხე-ჯავახეთში არაქალიჰესი - 30 000 000 ლარი; თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ლოგისტიკური პარკი - 1 308 000 ლარი; ჰესების კასკადი აჭარისწყალზე - 320 000 000 ლარი.

2013 წელს ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა იყო 3 568 518 კაცი, რაც 26%-ით მეტია წინა წლის ანალოგურ პერიოდთან შედარებით (2012 წელს - 2 882 590).

აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყანაში რუსეთის ფედერაციიდან (ზრდა - 54%), უკრაინიდან (ზრდა - 69%) და პოლონეთიდან (ზრდა - 72%) შემოსული ტურისტების რაოდენობის ზრდით. ტურისტთა დანახარჯებმა შეადგინა 1 703 673 98 ლარი (2012 წელს დანახარჯები მთლიანად შეადგენდა 1 410 901 ლარს). მხოლოდ რუსეთის ფედერაციიდან

შემოვიდა 335 891 ტურისტი, რომელთა ქვეყანაში დახარჯულმა თანხამ 448 350 212 ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ქონების საკითხებთან დაკავშირებით, 2013 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ფიზიკურ პირთათვის, დევნილობის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების საქმეში სახელმწიფოს როლის გამოკვეთას. ამასთან, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში მიწის ფონდის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქართველოში მიწის მართვის გაუმჯობესების მიზნით, ასევე საქართველოს მიწის ერთიანი ფონდის მართვა-განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შერჩევისა და გადაწყვეტის მიმართულებით.

კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, 2013 წლის განმავლობაში შემუშავდა „ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე საქართველოს ეროვნული გადასვლის სტრატეგიის“ პროექტი და, მისგან გამომდინარე, საქართველოს საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებების კანონპროექტების პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს 2013 წლის საშემოდგომო სესიაზე წარედგინება.

გრძელდება რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობა სატრანზიტო პოტენციალის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები.

გრძელდება საქართველოს აქტიური მონაწილეობა კასპიის ზღვის რეგიონიდან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ალტერნატიულ პროექტებში, როგორც ევროპის ბაზარზე ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საშუალება.

სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, საგზაო/ურბანული/მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, კერძო სექტორსა და სხვა სექტორებში პრიორიტეტული პროექტების დასაფინანსებლად მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების მოზიდვის კუთხით. 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე დონორებთან უკვე გაფორმდა 14 შეთანხმება, მათ შორის, სოფლის მეურნეობის, საგზაო/წყლის ინფრასტრუქტურის, განათლების სფეროებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდასაჭერად. ამავდროულად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დონორებთან სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად.

საანგარიშო პერიოდში, სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, ევროკავშირთან და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) გაფორმდა ხელშეკრულებები. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისათვის იაფი საკრედიტო რესურსის მოზიდვის მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები დონორებთან.

საკუთრებისა და გარიგების დაცულობა

მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელთა შედეგადაც გადაისინჯება იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული წესები. ცვლილებები უკვე დადებულ გარიგებებს ვერ შეეხება, მაგრამ შექმნის უფრო სამართლიან გარემოს იმისათვის, რომ ერთმა მოქალაქემ მეორე მოქალაქის სისუსტით არ ისარგებლოს.

საქართველოს პარლამენტთან ერთად, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტო კოორდინაციას უწევს მიწის მართვისა და განვითარების უწყებათაშორის საბჭოს. საბჭოს მიზანია, შეიმუშაოს მიწის კოდექსი, რომელიც სრულყოფილად გადაწყვეტს საქართველოში მიწასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საგადასახადო პოლიტიკა

სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად მომზადდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს საგადასახადო და ადმინისტრირების სფეროებში ჯარიმებისა და საურავების ლიბერალიზაციას და მათი ოდენობების გონივრულ ფარგლებში მოქცევას, ფიზიკური პირებისათვის საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის დადგენას, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებასა და სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად:

- შემოღებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც საშუალებას მისცემს დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს (რომელთა წლიური ხელფასი არ აღემატება 6 000 ლარს) ბიუჯეტიდან დაიბრუნონ საარსებო მინიმუმის ოდენობის ხელფასიდან დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 360 ლარის ოდენობით;
- ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე იძულებითი ღონისძიებები აღარ გავრცელდება დაუბეგრავი მინიმუმის (თვეში 150 ლარი) ოდენობის თანხაზე;
- სასოფლო-სამეურნეო ან სამედიცინო საქმიანობის განმხორციელებელი პირი გათავისუფლდება მოგების გადასახადისგან, თუ იგი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში მოახდენს აღნიშნული მოგების რეინვესტირებას;
- 2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს. ასევე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში მიღებული ხელფასი, თუ დამქირავებლის ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;
- მოგების გადასახადისგან 2017 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

- საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 3000 ლარისა;
- საგადასახადო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული გადაწყვეტილების ნაცვლად, მიიღებს საქართველოს მთავრობა;
- საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა გაიზარდა 3 წლით. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების უზრუნველსაყოფად შესაძლებელი იქნება გადასახადის გადამხდელის ქონების გირავნობა/იპოთეკით დატვირთვა;
- მიწის/ქონების გადასახადის წლიური საბაზისო ოდენობა მთავრობის დადგენილების ნაცვლად განისაზღვრება კანონით;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან ფილტრიანი სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთი გაიზარდა 0.6-დან 0.75 ლარამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) – 0.15-დან 0.2 ლარამდე;
- საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება დაიწყება საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ და მხოლოდ ამ პერიოდიდან დაეკისრება პირს ცალკეულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა 500-დან 200 ლარამდე შემცირდა. ამასთან, სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევის პირველად გამოვლენის დროს უკვე შესაძლებელია სანქციის სახით გაფრთხილების გამოყენება;
- შემცირდა საურავის ოდენობა და, ნაცვლად 0.07% პროცენტისა, იგი შეადგენს 0.06 პროცენტს, რაც წლიურად საურავის 3.65%-ით შემცირების ტოლფასია;
- სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის პირველად გამოვლენისას პირი დაჯარიმდება ნაცვლად 1 000 ლარისა 500 ლარით, ხოლო ზედნადების გარეშე განმეორებით საქმიანობისათვის 10 000 ლარის ნაცვლად სანქციის ოდენობა განისაზღვრა 5 000 ლარით;
- საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა 200 ლარიდან შემცირდა 50 ლარამდე;
- გაუქმდა საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა როგორც სანქციის ერთ-ერთი სახე და როგორც პირისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მინიჭებული უფლებების შემზღუდავი ნორმა; საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, როგორც ჯარიმის სახე, გაუქმდა შემდეგი სამართალდარღვევებისათვის: საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად; იგივე მოქმედების განმეორებით ჩადენა და საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად;
- შემცირდა ჯარიმის თანხა პირის მიერ საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის. ნაცვლად ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 100 ლარისა

(მაგრამ არა უმეტეს 1 500 ლარი), ჯარიმის თანხა განისაზღვრა ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ დღეზე 50 ლარით (მაგრამ არა უმეტეს 1 000 ლარისა).

მუშაობა მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსის ოფიციალური, საჯარო განმარტებების შემუშავების მიმართულებით. ეს უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა საქმიანობის განხორციელებისას საგადასახადო ვალდებულებების შესახებ ერთმნიშვნელოვანი, არაორაზროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას, რაც შეამცირებს გადამხდელთა მიერ ჩადენილი იმ სამართალდარღვევების რაოდენობას, რომელიც გამოწვეული იყო საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი ნორმების არსებობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმების მინიმუმამდე შემცირების, საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობების საგადასახადო კოდექსით ერთმნიშვნელოვნად და ნათლად მოწესრიგების, საგადასახადო პროცესისა და ადმინისტრირების გამარტივების მიმართულებებით.

ფისკალური პოლიტიკა

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება მთავრობის პროგრამიდან გამომდინარე ღონისძიებების დაფინანსება. ბიუჯეტში აისახა მთავრობის პროგრამის ძირითადი დებულებები და იგი ორიენტირებულია სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების მიმართულებებზე. ამასთან, კვლავ მაღალია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის მიმართული სახსრები.

მიმდინარეობს 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის სამუშაოები, რომელშიც აისახება მთავრობის პრიორიტეტების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსება. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ფისკალური პარამეტრების მდგრადობა ქვეყანაში არსებული მაკროფისკალური მდგომარეობისა და პროგნოზების გათვალისწინებით.

გრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებისათვის. ამასთან, სამუშაოები მიმდინარეობს ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის დახვეწისათვის. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელი გახდება უფრო ზუსტი და ყოვლისმომცველი ანალიტიკური მასალების მომზადება როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე მისი აღსრულებისა და შესრულების ანგარიშის წარმოების პროცესში.

სახელმწიფო ვალთან მიმართებით საგულისხმოა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის პრაგმატულ და კონსერვატიულ მართვას, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარებისა და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენებას. საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა. საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან - Standard & Poor's, Fitch და Moody's. ამჟამად საქართველოს სამივე სარეიტინგო კომპანიასთან ,,BB- სტაბილური" რეიტინგი აქვს (,,Ba3 სტაბილური" სარეიტინგო კომპანია Moody's-ის მეთოდოლოგიით).

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი მთლიანი სახელმწიფო ვალის 78%-ია. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და ძირითადად შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად. სახელწიფო ვალის მახასიათებლები ხასიათდება კლებადი ტენდენციით. 2012 წელს სახელმწიფო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებით შეადგინა 34.9%, ხოლო საგარეო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებით – 27.6%.

სახელმწიფო საშინაო ვალის კუთხით, ეტაპობრივად ხორციელდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიას. საპროცენტო განაკვეთები (კუპონისა და დისკონტის) კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ასახავს ინვესტორების ნდობას მთავრობის ფისკალური პოლიტიკისა და მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ.

გრძელდება მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF), რომლის პროგრამის ფარგლებშიც საქართველოსთვის ხელმისაწვდომია საკრედიტო რესურსი 250 მლნ SDR-ის ოდენობით (387 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნული რესურსის გამოყოფა მოხდა სარეზერვო დაფინანსების მექანიზმის (Stand-By Arrangement - SBA) და სარეზერვო-საკრედიტო ხაზის (Standby Credit Facility - SCF) პროგრამების ფარგლებში. მთავრობა გამოყოფილ ფინანსურ რესურსს ავტომატურად არ აითვისებს და გამოიყენებს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამ პროგრამის ფარგლებში 2013 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ პირველი და მეორე გაერთიანებული მიმოხილვა. ამასთან, ევროკავშირმა დაამტკიცა 46 მლნ ევროს ოდენობის რესურსი, რომლის ათვისებაც დაკავშირებულია IMF-ის პროგრამასთან.

საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობს რეფორმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. ამ რეფორმების მიზანია მიღწეულ იქნეს სახელმწიფო რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, სტრატეგიულად პრიორიტეტულ სფეროებზე რესურსების მიმართვა და შესაბამისი ანგარიშგება და კონტროლი სახელმწიფო რესურსების გამოყენებაზე. აღნიშნული რეფორმების შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მაქსიმალურ ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის სფეროში.

5. სოფლის მეურნეობა

ახალმა მთავრობამ 2012 წელსვე დაიწყო ზრუნვა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და წლის ბოლოს დამატებით 80 მლნ ლარამდე იქნა მობილიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასაახლებლად სამინისტროსათვის გამოყოფილ ბიუჯეტში. დაფინანსება გაიზარდა 2013 წელსაც და 241 მლნ ლარს მიაღწია. სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების ზრდის კუთხით აღსანიშნავია ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD). პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი (2013 წლის მარტი – 2016 წლის მარტი), ხოლო პროექტის ბიუჯეტია 40 მილიონი ევრო. ENPARD-საქართველოს პროგრამის განხორციელებას შედეგად მოჰყვება მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა.

დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომლის ამოცანებია მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის იაფი/შეღავათიანი კრედიტების მოპოვების ხელშეწყობა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო სექტორში კოოპერატივების საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში დაზღვევის ქმედითი მექანიზმების შემუშავება და ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის შექმნა და მისი კონსოლიდაცია.

დღეისათვის ,,მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში სოფლად მაცხოვრებელმა 710 385 ბენეფიციარმა მიიღო სხვადასხვა სახის სასოფლო–სამეურნეო ბარათი და შესაბამისი სარგებელი. ბენეფიციარების მიერ მიღებული სარგებლის ჯამურმა თანხამ 195 545 543 ლარი შეადგინა.

ბენეფიციარებს საშუალება ჰქონდათ კომბინირებული ბარათის გამოყენებით მოეხნათ და დაედისკათ მათ საკუთრებაში არსებული ფართობები, ხოლო ნომინალური ბარათის გამოყენებით შეესყიდათ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებები და სასოფლო–სამეურნეო ინვენტარი. პროექტის ფარგლებში მოიხნა მცირემიწიან ფერმერთა მფლობელობაში არსებული 196 924 ჰა მიწის ფართობი და შესყიდულ იქნა 82 359 731 ლარის სასუქი, 37 735 593 ლარის პესტიციდები, 7 683 375 ლარის სათესლე და სარგავი მასალა, 61 202 061 ლარის სასოფლო–სამეურნეო ინვენტარი და 264 943 ლარის ვეტერინარული პრეპარატები. პროექტი მიზნად ისახავდა სოფლად მცხოვრებთა უზრუნველყოფას ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებებითა და მომსახურებით. ამის შედეგად გაუმჯობესდა შრომის პირობები, მოხდა ბიზნესაქტივობის სტიმულირება. პროექტის განხორციელებამ გამოიწვია პირველადი პროდუქციის წარმოების წახალისება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდა.

სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავეთა მხარდასაჭერად 2013 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომლის ფარგლებშიც

უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები შეღავათიანი აგროსესხების სახით. პროექტში ჩართულია 12 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დაფინანსების საფუძველზე, ა(ა)იპ - „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ მიერ ხდება ბანკების მიერ დაფინანსებული აგროსესხების საპროცენტო განაკვეთის 9-12%-ის თანადაფინანსება.

2013 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით პირველი კომპონენტის ფარგლებში – უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის – 2 685 ბენეფიციარზე გაცემულია 1 106 478 ლარის ოდენობის სასაქონლო განვადება. მეორე კომპონენტის ფარგლებში – შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის (საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება მაქსიმუმ 2–წლიანი ვადით) – 2 247 ბენეფიციარზე გაცემულია 44 598 745 ლარის ოდენობის კრედიტი.

პროექტის მესამე კომპონენტის ფარგლებში – შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის (ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება მაქსიმუმ 7–წლიანი ვადით) 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით გაიცა 235 სესხი 29.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, მათ შორის, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებულია 51 ახალი საწარმოს შექმნა. ახალი საწარმოების შექმნისა და არსებულის გაფართოებისა და ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის ბანკებმა დააფინანსეს კახეთის რეგიონში – 10 ახალი საწარმო და 63 არსებული საწარმო; ქვემო ქართლის რეგიონში – 9 ახალი და 35 არსებული საწარმო და იმერეთის რეგიონში – 5 ახალი და 26 არსებული საწარმო. სესხების უმეტესობა გაცემულია მეცხოველეობის, მეღვინეობისა და სასაწყობე მეურნეობების მოწყობისათვის.

2013 წელს ქვეყანაში შემოყვანილია ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის მომსახურებისთვის კვალიფიკაცია აიმაღლა 1000-მდე ტრაქტორისტმა, შეიქმნა რამდენიმე ასეული სამუშაო ადგილი.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია მევენახეობა-მეღვინეობა. ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ახალი გასაღების ბაზრების მოძიება სამინისტროს პრიორიტეტია. სსიპ-ის ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით წარმატებით იზრდება ქართული ღვინის ექსპორტი. მათ შორის, განახლდა ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთის ბაზარზეც. ზოგადად ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით. სულ საექსპორტოდ 2013 წლის ივლისის ჩათვლით გავიდა 16 125 433 ბოთლი (0,75) ღვინო, რაც 4 884 505 ბოთლით მეტია წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

2013 წლის რთვლის წარმატებით განხორციელების მიზნით შემუშავდა რთვლის სუბსიდირების ახალი სისტემა, რომელიც განსხვავდება შარშანდელისგან როგორც თანხის გაცემის მექანიზმით, ისე სუბსიდიის რაოდენობით. კერძოდ, წელს სუბსიდიას დაექვემდებარა მესამე აბორიგენული ჯიში – კახური მწვანე. სუბსიდიის რაოდენობა თეთრი ყურძნის ჯიშებზე (რქაწითელი, კახური მწვანე) შეადგენს 0.4 ლარს, ხოლო საფერავზე – 0.25 ლარს. ამასთან, სუბსიდიის მიღების უფლება ენიჭებათ იმ ღვინის კომპანიებს, რომლებიც ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისაგან ერთი კილოგრამი ყურძნის შესყიდვას განახორციელებენ არანაკლებ ერთ ლარად. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს სუბსიდია იყო გათვალისწინებული მხოლოდ რქაწითელსა (0.25 ლარი) და საფერავზე (0.35 ლარი), რაც

ხშირად გაუგებრობებსა და კონფლიქტებს იწვევდა მევენახეებთან, რადგან შერეული რქაწითელისა და კახური მწვანის ვენახები ძალიან გავრცელებულია კახეთში.

გასულ წელს სულ გადამუშავდა 54000 ტონა ყურძენი, რაც ბოლო 5 წლის მაქსიმუმი იყო. დღეისათვის 79000 ტონა ყურძენია მიღებული და კიდევ გრძელდება გადამუშავება. ამასთან, აღარ იზღუდება 10 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე მევენახეების მიერ ყურძნის ჩაბარება. ყველა მევენახეს აქვს ყურძნის თავისუფლად ჩაბარების შესაძლებლობა. გასულ წელს რქაწითელისა და საფერავის მაქსიმალური ფასი იყო 1 ლარი, ხოლო ალექსანდროულისა და მუჯურეთულის (ხვანჭკარა) – 3 ლარი.

წელს მინიმალური გარანტირებული ფასი 1 ლარია ყველა ხარისხიან რქაწითელზე, მწვანესა თუ საფერავზე, ხოლო სპეციფიკური მიკროზონების მიხედვით, საფერავზე მაქსიმალური 2.20 ლარიც დაფიქსირდა, ხოლო რქაწითელსა და მწვანეზე – 1.50 ლარი. რაჭაში რთველი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, ხვანჭკარის მოსალოდნელი ფასია 5-8 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, უმნიშვნელოვანესია სასურსათო უსაფრთხოება, რომლის უზრუნველსაყოფადაც მომზადდა ცვლილებების პაკეტი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“. კანონის პროექტის შესაბამისად, ევროკომისიის მოსაზრებების გათვალისწინებით, დაიხვეწა და დეტალურად გაიწერა მთელი რიგი მუხლებისა, რაც შეესაბამება „მიწისზედა ცხოველების სანიტარიულ კოდექსს“, მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის სამდივნოს მიერ შედგენილ ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო ISPM სტანდარტებს და ევროკავშირის დირექტივებს.

მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის ძირითადი მიზნებია: საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება, სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა; სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა, სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და რენტაბელობის ამაღლება, ეროვნული ეკონომიკის განვითარება და ბიოლოგიური მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. კანონით გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნა, რომელიც განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტასა და მათ მონიტორინგს, განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშემწყობ ღონისძიებებს, შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებსა და რეკომენდაციებს, გაუწევს კონსულტაციებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, შექმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზას.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამელიორაციო მომსახურებით უზრუნველსაყოფად, რისთვისაც „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს ხორციელდება 19 სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია 11 560 ჰა–ზე და კოლხეთის დაბლობზე 11 დამშრობი სისტემის

რეაბილიტაცია 7 570 ჰა–ზე. საბიუჯეტო დაფინანსების პარალელურად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში თანამშრომლობა მიმდინარეობს მსოფლიო ბანკთან (WB), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD), ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოსთან (USAID) და სხვ.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის მნიშვნელოვანი სამუშაოები. გაიწმინდა 1054 კმ სიგრძის მაგისტრალური და გამანაწილებელი არხები. მათ შორის: ქვემო ქართლში - 489 კმ, შიდა ქართლში - 424 კმ, კახეთის რეგიონში - 46 კმ, იმერეთში - 95 კმ. გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში გაიწმინდა და მოწესრიგდა 15 კმ სიგრძის სადრენაჟო კოლექტორი და 83 კმ ორნატები. წლის ბოლომდე დამატებით დაგეგმილია 63 კმ მაგისტრალური და 165 გამანაწილებელი არხის დანალექისაგან წმენდისა და მოწესრიგების სამუშაოების ჩატარება.

შეკეთდა გამანაწილებელი კვანძები და დაზიანებული წყალგამშვები ფარები. გარემონტდა და სხვადასხვა სახის სპეციფიკური სამუშაოები ჩაუტარდა სატუმბ სადგურებს, წყალმიმღებ სათავე ნაგებობებს და წყალსაცავების ჰიდროკვანძებს, დიუკერებს და სხვა სახის 25 მსხვილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას. ახლით შეიცვალა სხვადასხვა დიამეტრის წყალდამხარჯი ურდულები და ჰიდრანტები. სულ მოწესრიგდა 570 ნაგებობა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად წყლით უზრუნველყოფილი გახდა 70 000 ჰექტარი სავარგული.

იმ საინვესტიციო პროექტებს შორის, რომლებსაც ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (ASP). პროექტს მთლიანად აფინანსებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), სესხის თანხაა 5 350 000 SDR (დაახლოებით 8 130 000 აშშ დოლარი), გრანტის თანხაა 130 000 SDR (დაახლოებით 213 000 აშშ დოლარი). აღნიშნული პროექტისათვის IFAD–მა კიდევ დამატებით გამოყო 3 250 000 SDR (დაახლოებით 4 924 000 აშშ დოლარი).

პროექტი შედგება ორი კომპონენტისაგან:

პირველი კომპონენტია ,,სალიზინგო ოპერაციების მხარდაჭერა სოფლად“ – ღირებულება 4.916.900 აშშ დოლარი. კომპონენტის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ლიზინგის სისტემის განვითარების ხელშეწყობა. კომპონენტით გათვალისწინებული საქმიანობა საშუალებას აძლევს სოფლის მურნეობაში დასაქმებულ მცირე და საშუალო მეწარმეებს ლიზინგით შეიძინონ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებები.

მეორე კომპონენტია - სოფლად მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარება – ღირებულება 9.8 მლნ აშშ დოლარი. კომპონენტის მიზანია სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავისთავად გულისხმობს სოფლის გზების, ხიდების, სასმელი წყლის, საირიგაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

სსიპ-ის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 1000-ზე მეტი ბიზნესოპერატორის გეგმური ინსპექტირება, რაც მინიმუმ 2.5-ჯერ აღემატება 2012 წლის პროგრამით განსაზღვრულ გეგმურ ინსპექტირებებს (2012 წლის პროგრამით გათვალისწინებული იყო 400 ბიზნესოპერატორის ინსპექტირება); მნიშვნელოვნად გაიზარდა

არაგეგმური ინსპექტირებების რაოდენობა. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში განხორციელდა 44 არაგეგმური ინსპექტირება, ხოლო 2013 წლის 15 აგვისტომდე – 145 არაგეგმური ინსპექტირება.

2013 წლიდან გაძლიერდა ქვეყნის შიდა ბაზარზე ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა და გატარდა სათანადო ღონისძიებები.

2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით ცხოველური წარმოშობის სურსათის სამმართველოს აღრიცხვით საქართველოში მოქმედებს 77 სასაკლაო, აქედან რეგიონების მიხედვით: თბილისში - 4, შიდა ქართლში - 5, მესხეთ-ჯავახეთში - 2, ქვემო ქართლში - 13, კახეთში -13, იმერეთში - 16, მცხეთა-მთიანეთში - 7, გურიაში - 2, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 12, რაჭა-ლეჩხუმ–ქვემო სვანეთში - 1, აჭარაში - 2.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც მეზობელ მოსაზღვრე ქვეყნებში, საქართველოშიც აღინიშნა საშიში მიგრაციული მავნებლის – იტალიური კალიის მასობრივი გავრცელება. კალიების შემოსევის შედეგად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საძოვრებსა და ყამირ მიწებზე (დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში), რომელთა დამუშავება რთული ლანდშაფტის გამო სამსახურის ხელთ არსებული ტექნიკით შეუძლებელი იყო და აუცილებელი გახდა კალიების რეზერვაციების ავიაციის საშუალებით დამუშავება ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად.

ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავარგულები და მწვანე საფარი განადგურებას გადარჩა, შენარჩუნდა მოსავალი.

მიმდინარე წელს ამერიკულ პეპელასთან საბრძოლველად დასავლეთ საქართველოში დამუშავდა 35000 ჰა მიწის ფართობი. ბიოლოგიური პრეპარატით დამუშავდა ფოთი-გრიგოლეთი-ურეკი-ქობულეთის საავტომობილი გზის გასწვრივ არსებული მწვანე ნარგავები.

ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების - ცოფის, ჯილეხის, ბრუცელოზის გამოვლინების შემთხვევაში, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია და ხორციელდება დაავადებების შესაბამისი სალიკვიდაციო ღონისძიებები: დიაგნოსტიკური გამოკვლევა, ვაქცინაცია და სხვა ვეტერინარულ-სანიტარიული ღონისძიებები. ცოფის დაავადებაზე ვაქცინაცია ჩაუტარდა 12 450 სულ პირუტყვს.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

ჯანმრთელობის დაცვა

2013 წლის თებერვალში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი. პირველ ეტაპზე, თებერვლიდან ივნისის პერიოდის ჩათვლით 41 713-მა მოქალაქემ მიიღო გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, 15 275-მა - გადაუდებელი სტაციონარული დახმარება და 1 347 658 პირი დარეგისტრირდა გეგმურ ამბულატორიულ და პოლიკლინიკურ მომსახურებაზე. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ქვეყნის მასშტაბით მოქმედი კლინიკების უმრავლესობა (>80%).

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მე-2 ეტაპი ამოქმედდა 1 ივლისიდან. პირველ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურების 3 ბლოკს სთავაზობდა, დღეისათვის ჯანდაცვის პროგრამა მომსახურების 6 ძირითად ბლოკს, კერძოდ:

1) პირველადი ჯანდაცვის გაფართოებულ მომსახურებას;
2) გადაუდებელ ამბულატორიულ დახმარებას;
3) გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას;
4) გეგმურ ქირურგიულ ოპერაციებს;
5) ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას;
6) მშობიარობას.

ამასთან, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მოცულობა. ოჯახის/უბნის ექიმის ვიზიტებს დაემატა ექიმი-სპეციალისტის კონსულტაციები და გაიზარდა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მე-2 ეტაპის ფარგლებში ორ თვეში (1 ივლისი - 31 აგვისტო) სამედიცინო მომსახურება მიეწოდა 48 935 მოქალაქეს, მათ შორის 34 771–ს – ამბულატორიული, ხოლო 14 164 – სტაციონარული მომსახურება (7 390 გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება და 901 გეგმური ოპერაცია). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 5 970 მშობიარობა (3 978 ფიზიოლოგიური და 1 992 საკეისრო კვეთით) და 1 089 ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობა.

2013 წელს შეიქმნა სადაზღვევო ზედამხედველობის დამოუკიდებელი სამსახური, რომლის მთავარი მიზანია საქართველოში დაზღვევის, მათ შორის სამედიცინო დაზღვევის რეგულაციების გაძლიერება. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ ადმინისტრირებული სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ერთიან შემსყიდველ მექანიზმზე გადასვლის გეგმაზე. გარდამავალი პერიოდის გეგმაზე მუშაობს სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების სამუშაო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციებსაც განიხილავს და დაამტკიცებს უწყებათაშორისი კომისია.

ქვეყნის მასშტაბით შეფასდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები და მომზადდა 2-წლიანი სამოქმედო გეგმა, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სასწრაფოს გამოძახებებზე დროული რეაგირება. თბილისისა და 62 რაიონული ცენტრის მასშტაბით განისაზღვრა

სისტემის საჭიროებები ავტოპარკის, აპარატურის, საკომუნიკაციო (სადისპეტჩერო, რადიოგადამცემები) და საკადრო სისტემის კუთხით. სამოქმედო გეგმის განხორციელება დაიწყო თბილისში მერიასთან, 033-ის და 112-ის სამსახურებთან ერთად.

აშშ მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია (165 მლნ აშშ დოლარი) - ლუგარის სახელობის კვლევითი ცენტრი – საქართველოს მთავრობის საკუთრებაში გადმოვიდა და ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ნაწილი გახდა. ჯანდაცვის, თავდაცვის, ფინანსთა და განათლების სამინისტროები აშშ–ის მხარესთან ერთად მუშაობენ ლუგარის ლაბორატორიის მმართველობისა და ფინანსური მდგრადობის მრავალწლიან გეგმაზე, რომლის ფარგლებშიც ამერიკის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები კვლავ სტრატეგიულ პარტნიორებად დარჩებიან. ამასთანავე, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ლუგარის ცენტრის ახალი თანამშრომლობის პროექტებზე ევროპისა და სხვა რეგიონების ქვეყნების ჯანდაცვისა და ვეტერინარიის კვლევით ინსტიტუტებთან.

2012 წლის ბოლოსათვის დაუზუსტებელი იყო ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლები. 2013 წლის იანვარში ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების პასპორტიზაცია. განისაზღვრა 1 553 დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული, საკადრო და ადმინისტრაციული რესურსების მოცულობა. აღნიშნული ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანად მოწყობის, რეგულაციებისა და ანგარიშგების მექანიზმების შემუშავებისა და ამოქმედებისათვის.

მთავრობამ გააძლიერა ჯანდაცვის სექტორში ინფრასტრუქტურული პროექტების ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ინვესტორების მხრიდან ვალდებულების არადროულად შესრულების საპასუხოდ, ჯანდაცვის სამინისტრომ ეკონომიკურ ბლოკთან თანამშრომლობით სახელმწიფოს მფლობელობაში დააბრუნა ონკოლოგიის ცენტრი და ადითის კლინიკები. მუშავდება აღნიშნული კლინიკების სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ მართვის ერთიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მნიშვნელობის კლინიკების მართვის ეფექტიანობისა და პაციენტთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

ამა წლის აგვისტოში ახალი ფორმატით ამოქმედდა პირველადი ჯანდაცვის საბჭო, რომელიც ქალაქის პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენლების გარდა მოიცავს საქართველოს ათივე რეგიონიდან რაიონული ამბულატორიებისა და სოფლის ექიმებს, ბათუმისა და ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის რგოლის, აჭარისა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 1-ლი ფაზის მიმოხილვამ და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სხვადასხვა რაიონში ჩატარებულმა ვიზიტებმა მნიშვნელოვანი პრობლემები გამოავლინა „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელების, მონიტორინგისა და დაფინანსების კუთხით. საბჭოს ახალი შემადგენლობა უზრუნველყოფს, რომ როგორც ქალაქის, ისე სოფლის დონეზე პირველადი ჯანდაცვის პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩაერთვება სისტემის ყველა ძირითადი მოთამაშე. საბჭო უხელმძღვანელებს პირველადი ჯანდაცვის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას 2013 წლის ბოლომდე.

შეიქმნა თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისია და მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მრავალწლიან სამოქმედო გეგმაზე. სამოქმედო გეგმა მუშავდება შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამავე ინიციატივის ფარგლებში 3-7 ივნისს ჯანდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა გაეროს სააგენტოების (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა) ერთობლივ მისიას. იგეგმება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციით გათვალისწინებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება მოსახლეობაში თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად.

ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (საბჭო) და დაინერგა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის სავალდებული 24-საათიანი შეტყობინების სისტემა. შემუშავდა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სამშობიარო სახლების რეგიონალიზაციის - დონეებად დაყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცდება მიმდინარე წლის ნოემბერში. საქართველოში დაფიქსირებული საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებლის (35-38%) საპასუხოდ, რომელიც სულ ცოტა 2-ჯერ აღემატება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, შემუშავდა საკეისრო კვეთის ჩვენებების პროტოკოლი. ამასთანავე დედათა და ჩვილ ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან (UNICEF, JSI, UNFPA) თანამშრომლობით მუშავდება მაღალი რისკის ორსულთა და ახალშობილთა რეფერალის (გადაყვანის) სისტემის მკაფიო კრიტერიუმები და იგეგმება სამედიცინო კადრების სწავლება.

სამინისტრო დარგის ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ექიმებთან ერთად მუშაობს 3 მნიშვნელოვან მიმართულებაზე, კერძოდ: (1) ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ჰარვარდის სამედიცინო სკოლისა და აშშ–ის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის მონაწილეობით შემუშავდება; (2) პათანატომიური სერვისების ორგანიზებისა და მოწყობის ეროვნულ კონცეფციასა, და (3) დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების ეროვნულ გეგმაზე.

ჯანდაცვის სამინისტრო პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით ასევე ხელმძღვანელობს „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელ საბჭოს“. „ღია საზოგადოება - საქართველოსთან“, გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და ევროკავშირთან (EU) თანამშრომლობით საბჭო მუშაობს ფსიქიკური ჯანდაცვის განვითარების კონცეფციაზე. ასევე მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სტაციონარული სერვისების დეტალური შეფასება და შედეგებზე დაყრდნობით 2013 წლის ბოლოსათვის შემუშავდება დარგის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ჯანდაცვის სამინისტროს თავმჯდომარეობით ახალი ფორმატით ამოქმედდა სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია (აქტირების კომისია). 2012 წლის ბოლოს არსებულ დაავადებათა სია იმდენად მკაცრი და მოუქნელი იყო, რომ 2010-2012 წლებში „აქტირების კომისიით“ არც ერთი პატიმრის გათავისუფლება არ მომხდარა. კომისიამ, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, 2013 წელს განაახლა იმ მძიმე და უკურნებელი დაავადებების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება

გახდეს სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი. 2012 წლის 28 დეკემბრიდან დღემდე კომისიამ ახალი შემადგენლობითა და პროცესის რეფორმით სასჯელისაგან გაათავისუფლა 82 პატიმარი.

დარგის ექსპერტებსა და „ღია საზოგადოება - საქართველოსთან“ თანამშრომლობით ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაზე. შემუშავდება კრიტერიუმები, რომლითაც 2014 წლიდან სამინისტრო C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს შესთავაზებს ანტივირუსულ მკურნალობას. ამასთანავე ჯანდაცვის და სასჯელაღსრულების სამინისტროები აწარმოებენ მოლაპარაკებებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა მოხდეს მედიკამენტების ფასების მნიშვნელოვანი შემცირება და საქართველოში მცხოვრები ყველა პაციენტისათვის C ჰეპატიტის მკურნალობა გახდეს ფინანსურად ხელმისაწვდომი.

2013 წლის იანვრიდან განხორციელდა რამდენიმე ფართომასშტაბიანი ღონისძიება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტული მიმართულებებით:

- ქვეყანაში წითელას შემთხვევების მატების საპასუხოდ 1 მარტიდან ხორციელდება წითელას საწინააღმდეგო იმუნიზაციის კამპანია. დღეისათვის ჩატარებულია 50 300 აცრა, მათ შორის 7-წლამდე ასაკის 17 200 ბავშვებსა და 5 900 სამედიცინო პერსონალს შორის;
- 15 მარტიდან დაიწყო ბავშვთა გეგმური აცრები როტავირუსის საწინააღმდეგო აცრით. აღნიშნული უმნიშვნელოვანესია 5-წლამდე ასაკის ბავშვებში როტავირუსით გამოწვეული მძიმე დიარეის შემთხვევების პროფილაქტიკისათვის;
- 1-7 აპრილს ჩატარდა არტერიული ჰიპერტენზიის კვირეული და მთავრობა მუშაობს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებაზე. არტერიული ჰიპერტენზია საქართველოს მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი რისკფაქტორია და დღემდე ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ დათმობია.

სოციალური დაცვა

2013 წელს განხორციელდა პენსიებისა და სოციალური გასაცემლების ეტაპობრივი ზრდა.

პირველი ეტაპი დაიწყო აპრილში და 194 961 პენსიონერს პენსია 110 ლარიდან გაეზარდა 125 ლარამდე, 21 721 მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს სოციალური პაკეტი 100 ლარიდან გაეზარდა 125 ლარამდე. 2013 წლის 1 ივლისიდან 411 939 მოქალაქისათვის გაორმაგდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის ოდენობა და შედეგად ოჯახის უფროსი წევრი, ნაცვლად 30 ლარისა, იღებს 60 ლარს, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი ნაცვლად 24 ლარისა - 48 ლარს.

2013 წლის 1 სექტემბრიდან ასაკით პენსიონერებისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა 125 ლარიდან გაიზარდა 150 ლარამდე, პენსიის მატება შეეხო 681 392 პენსიონერს. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური პაკეტი 125 ლარიდან გაიზარდა 150 ლარამდე, მატება შეეხო 21 892 პირს. ამავე პერიოდიდან 8 900 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისა და 76 540 მნიშვნელოვნად გამოხატული (მეორე ჯგუფი) შშმ პირის მინიმალური სოციალური პაკეტი

გაიზარდა 70-დან 100 ლარამდე, ასევე 27 450 მარჩენალდაკარგულისა და 1 447 პოლიტრეპრესირებულის მინიმალური ფულადი სოციალური პაკეტი 55-დან 100 ლარამდე გაიზარდა. სახელმწიფო კომპენსაციები 272 ლარიდან გაიზარდა 292 ლარამდე, მატება შეეხო 17 121 პირს. საერთო ჯამში მატება შეეხო 1 246 681 პირს.

2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნული სოციალური გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენდა 110 922 825 ლარს. 2013 წლის სექტემბრიდან აღნიშნული გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით 145 529 303 ლარს.

მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ პირთა უფლებების დაცვა, ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ამ მიზნით, 2013 წელი გამოცხადდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის წლად. საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია და მის დამტკიცებასთან ერთად ამოქმედდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამოქმედო გეგმა. აგრეთვე დამტკიცდა „2013 წლის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2 მლნ ლარით.

სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში აღმოიფხვრა ერთი და იგივე წოდების მქონე პირთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობებს შორის არსებული განსხვავება და მოხდა მათი პენსიების გადაანგარიშება. კერძოდ, 2013 წლის 1 აპრილიდან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთათვის კომპენსაციის გადაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ასაკით პენსიის ოდენობა, პირის ასაკი, სახელმწიფო სპეციალური წოდება და შესაბამის სტრუქტურაში მუშაობის სტაჟი. გადაანგარიშება ასევე შეეხოთ სამოქალაქო ავიაციის ყოფილ მოსამსახურეებს. ასაკით პენსიის მატების პარალელურად, აღნიშნულ პირთათვის პენსიის გადაანგარიშება განხორციელდება ავტომატურად. ამ ცვლილებით გადაანგარიშების უფლება მოიპოვა 15 ათასზე მეტმა პირმა.

შემუშავდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო დახმარების დაფინანსებისა და გაცემის წესი. 826 ბენეფიციარი უკვე იღებს ე.წ. „რეგრესულ პენსიას“.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, რათა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება სუბიექტური კრიტერიუმების ნაცვლად, განხორციელდეს ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით და მნიშვნელოვნად გაიზარდოს სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობა.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვისა და საპენსიო სისტემის რეფორმისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეიქმნა საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საბჭო.

შრომისა და დასაქმების პოლიტიკა

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის მიზანია ქვეყნის ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება, სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა. დაისახა შრომის ბაზრის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი ღონისძიებები. მთელი საქართველოს მასშტაბით იგეგმება დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების შექმნა, მოხდება საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლა, შეიქმნება სამუშოს მაძიებელთა და ვაკანსიების ერთიანი ბაზა, რაც ხელს შეუწყობს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებას.

შემუშავდა და მიღებულია ცვლილებები „შრომის კოდექსში“, რომელიც განსაზღვრავს დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს. იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა შრომის კანონმდებლობის რეფორმა. მიღებულია შრომის კოდექსი, რომელიც სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესების დაბალანსებას. შემოღებულია ისეთი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს აღარ შეუძლია დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება, შეიცვალა შრომის ხელშეკრულების ფორმატი. ეს ცვლილებები კომპრომისის შედეგია - იუსტიციის სამინისტრომ დოკუმენტი მოამზადა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და დამსაქმებელთა ასოციაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დევნილთა დახმარება

საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი პროექტები კონფლიქტის ზონების მიმდებარე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების, დევნილთა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. ამოქმედდა აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების რეაბილიტაციის პროექტი; მიმდინარეობს აგრეთვე გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში, ევროკავშირის (EU) დაფინანსებით დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა და სხვ. მიმდინარე წელს გამოყოფილია 80 მლნ ლარზე მეტი, რომელიც მოხმარდება ინფრასტრუქტურის, სარწყავი სისტემების, საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციასა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს. გაუმჯობესდა 2 900 დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობები და სხვ.

შემუშავდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, ახალი რედაქციით ყალიბდება იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის ცნება. კანონპროექტში ასახული სხვადასხვა სიახლეები უზრუნველყოფს მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება და დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის წესი. ეს წესი ადგენს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის პროცედურებს, ასევე ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართობის სტანდარტების შესაბამისად - საცხოვრებელი ფართობის განაწილების წესს. ამასთან, ითვალისწინებს დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართობის მიღების თაობაზე განცხადებები დაკმაყოფილდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართობის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე გადაცემის საკითხსაც.

შეიქმნა კომისია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დაცვის სტანდარტებისა და პრინციპების, მათი სამართლებრივი სტატუსის, უფლებრივი მდგომარეობის, საჭიროების შემთხვევაში, მათ განსახლებასთან ან მათთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომების რეგულირებისა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების მართვის მოწესრიგების მიზნით.

დაიწყო დევნილთა საყოველთაო რეგისტრაცია, რომლის მიზანია დევნილთა მაქსიმალურად რეალური რიცხოვნების დადგენა, დევნილთა მონაცემთა ბაზაში მათ შესახებ არსებული ინფორმაციის განახლება და ხარვეზების გამოსწორება, აგრეთვე მათთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის/მონაცემების განახლება/დაზუსტება. ეს ხელს შეუწყობს მთავრობას დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილია 480 ოჯახი (2000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი). სხვადასხვა სახის რემონტი ჩაუტარდა 15 ობიექტს, სადაც 425 დევნილი ოჯახი ცხოვრობს (1300 ადამიანი). 876 დევნილ ოჯახს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცა ის საცხოვრებლები, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

სახელმწიფოს ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს მიგრაციის, ლტოლვილთა და რეპატრიაციის საკითხთა მოგვარება, გაორმაგდა თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. პროექტის -„ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობასთან ერთად, დაბა მარტყოფში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრის გარეთ მყოფ პირთათვის გამოიყო ბინის დაქირავების ხარჯები.

სექტემბერში დასრულდა ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ყოველწლიური სავალდებულო რეგისტრაცია. სამინისტროს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 326 პირიდან რეგისტრაცია გაიარა 240-ზე მეტმა პირმა. მიმდინარეობდა მუშაობა რეპატრიანტების მიმართულებით. დღეისათვის რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1000-ზე მეტ პირს.

7. განათლება და მეცნიერება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზნად დაისახა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად და ამ მიზნით შესაბამისი პროექტებისა და ხელსაყრელი პირობების შექმნა. 2012 წლის ნოემბრიდან სისტემაში რეფორმების განხორციელება რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით დაიწყო. პირველ რიგში განხორციელდა სისტემის დეპოლიტიზაცია. განათლების სისტემის ყველა დონეზე შემუშავდა პროექტები ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები სისტემის ინსტიტუციონალური განვითარებისა და მართვის სრულყოფის მიზნით. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციონალური და პროგრამული შეფასების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების რეორგანიზაცია ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების დონეების შესაბამისად.

საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა გასწია ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის კრიტერიუმების შესასრულებლად. შედეგად, დამტკიცდა საქართველოსთვის 140 მლნ დოლარის მოცულობის 5-წლიანი კომპაქტი და ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც საქართველოს განათლების სფეროსათვის გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს. 30 მლნ დოლარი მოხმარდება უმაღლესი განათლების კომპონენტს, რაც ქართველი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომს გახდის საქართველოში წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მიმართულებებით. 4 წლის განმავლობაში პროგრამით საშუალოდ 2000 სტუდენტი ისარგებლებს, სახელმწიფო კი მომდევნო 20 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს პროგრამის შემდგომ დაფინანსებას. კომპონენტი ასევე ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარებასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადამზადდება 27 ათასი მასწავლებელი. ასევე დაფინანსდება საკლასო შეფასების სისტემის შექმნა, ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში მონაწილეობა და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება. უსაფრთხო და ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით დაგეგმილია 150-მდე სკოლის სრული რეაბილიტაცია და უახლესი სასწავლო ლაბორატორიებით აღჭურვა. პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების, კერძო და სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით საკონკურსო წესით გაიცემა გრანტები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება და განახორციელა სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი სოციალური პროექტი რამდენიმე მიმართულებებით.

ზოგადი განათლება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე (506 189) და კერძო სკოლების სოციალურად დაუცველთა, ომში დაღუპული პირების ოჯახებისა და საჯარო სკოლებიდან შენობის გასხვისების გამო კერძო სკოლებში გადაყვანილი მოსწავლეები (3 462) უფასოდ უზრუნველყო სახელმძღვანელოებით და საგნობრივი სავარჯიშო რვეულებით. წინა წელს სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა თითქმის 11 მლნ ლარი დაჯდა, რასაც ემატებოდა მშობლების მიერ დახარჯული 35-40 მლიონი ლარი. წელს კი სულ 18 მლნ ლარი დაჯდა მოსწავლეთა 4 264 289 სახელმძღვანელოთი და 2 113 217 საგნობრივი სავარჯიშო რვეულით უზრუნველყოფა. ამავე პროგრამის ფარგლებში პირველად დაიბეჭდა მხედველობის არმქონე და მხედველობადაქვეითებული მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით.

ახალ სასწავლო წელს 40 127 პირველკლასელს საჩუქრად გადაეცა პერსონალური კომპიუტერი (ბუკი). წინა წლებისაგან განსხვავებით, ბუკის გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე კლასებშიც. გაუმჯობესებულია ბუკის ტექნიკური მახასიათებლები და პროგრამები. მომავალშიც სისტემატურად განხორციელდება ჩატვირთული ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშების განახლება/შევსება.

მოტივაციის ამაღლებისა და სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, 1300-ზე მეტ წარჩინებულ მოსწავლეს საჩუქრად გადაეცა პორტატული კომპიუტერი.

განხორციელდა სკოლების ხელმისაწვდომობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ახალ სასწავლო წელს უფასო ტრანსპორტირებით 900-ზე მეტი სკოლის 45 ათასამდე მოსწავლე სარგებლობს. პროექტის საწყისი ეტაპი - 2012 წლის ნოემბრიდან მაისამდე - შედარებით მცირე მასშტაბით განხორციელდა. პროექტის ეფექტიანობიდან გამომდინარე, რაიონებში ტრანსპორტის დანიშვნით, სკოლაში მოსწავლეთა დასწრება თითქმის 100%–მდე გაიზარდა.

საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების მიერ მათი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესიის არჩევის ხელშესაწყობად შემუშავდა ,,კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კურსი“, რომელიც დაინერგება საჯარო სკოლებში. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს პროფესიის არჩევისას გააკეთონ გაცნობიერებული არჩევანი. მიმდინარეობს შესაბამისი კადრებისა და რესურსების მომზადება. ახალი ინიციატივის ფარგლებში შეიქმნება 110 ახალი სამუშაო ადგილი ფსიქოლოგებისა და ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებისათვის.

განხორციელდა სკოლების ინტერნეტით უზრუნველყოფის პროექტი. დღეისათვის ინტერნეტი მიეწოდება საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების სკოლებს (სულ - 2085) და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრს (სულ - 70). საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და დიდი ქალაქების სკოლებში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eFlow).

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, განათლებასთან მიმართებით. ამავე მიზნით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის იაშვილის კლინიკაში სპეციალური სკოლა მოეწყო, რაც უზრუნველყოფს ადგილზე გაკვეთილების ჩატარებას. სმენა- და მხედველობადაქვეითებული ბავშვებისთვის კი პირველად გაიხსნა ინტეგრირებული კლასები 166-ე და 64-ე საჯარო სკოლებში. ყველა საჯარო სკოლაში, სადაც ისწავლის სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლე, იმუშავებს დამატებითი პერსონალი - სპეცმასწავლებელი, რომელსაც დააფინანსებს სამინისტრო. განხორციელდა და კოორდინაცია გაეწია მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტების შეფასების პროცესს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მათთვის შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით. დაწყებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან განათლების პრობლემების მქონე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები 80 ბენეფიციარის შეფასებაც. მიმდინარეობს მუშაობა პროგრამის ,,ეროვნული მოდელი - განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში“ ფარგლებში.

განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პედაგოგის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, გადამზადდა 23.700 მასწავლებელი ყველა საგნობრივი მიმართულებით და ზოგადპროფესიულ უნარებში გრძელვადიანი სასწავლო კურსების, მოკლევადიანი ტრენინგების, საგნობრივი სემინარების, მასტერკლასებისა და სხვა აქტივობის ფარგლებში. ჩატარდა 1000-მდე ტრენინგი და სხვა ღონისძიება. არსებითად შეიცვალა ტრენინგების სპეციფიკა და ახალი სასწავლო წლიდან მოერგო მასწავლებლის საჭიროებებს, დაიწყო სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამა. მომზადებულია სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის საჭირო სატრენინგო კურსები. მასწავლებლებისთვის მომზადდა ყველა კლასის საგნობრივი გზამკვლევები, რომლებიც აიტვირთება სამინისტროს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. მოსწავლეთა წიგნიერების ასამაღლებლად შემუშავდა ბიბლიოთეკარის სტანდარტი და დაიწყო ბიბლიოთეკის სტანდარტზე მუშაობა. სკოლებში შევიდა ახალი ტიპის, ადვილად საწარმოებელი, გამარტივებული საკლასო ჟურნალები, ხოლო მათი ელექტრონული ვერსიის პილოტირება დაიწყო 25 საჯარო სკოლაში.

შეიცვალა სკოლის მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი. მანდატურის სამსახურს დაემატა ახალი ფუნქცია, რომლის ძირითადი მიზანია ფსიქოლოგიური პრობლემისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის ფსიქოსოციალური ხასიათის მომსახურების გაწევა. სამომავლოდ მანდატური ასევე მოწოდებული იქნება იზრუნოს ბავშვის უფლებების დაცვაზე საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთაც . სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისა და მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე მოზარდებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, მომზადდა მანდატურების გადამზადების პროგრამა მე-7 კლასის

მოსწავლეებისათვის, ,,სამართლებრივი კულტურის საწყისების“ კურსის წასაყვანად. კურსი დაინერგება ყველა საჯარო სკოლაში.

სკოლების გაძლიერების მიზნით, ვაუჩერული დაფინანსების სისტემაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა საჯარო სკოლების დაფინანსება გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული აუცილებლობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტების მიხედვით. ეს ცვლილებები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მაღალმთიანი და საზღვრისპირა რაიონების სკოლების შესანარჩუნებლად.

ხელფასი გაეზარდა 60 ათასზე მეტ პედაგოგს (25%-60%-ით), ხოლო სექტემბრიდან ეტაპობრივად მოემატა სკოლების 20 ათასამდე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს (40%-45%-ით). განისაზღვრა პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულება არანაკლებ ორი თვის (40 სამუშაო დღე) ვადით (ნაცვლად ერთი თვისა). პედაგოგებმა შესაბამისი ანაზღაურება მიიღეს შვებულებაში გასვლის წინ.

ძირეულად შეიცვალა მიდგომა სკოლების რეაბილიტაციის მიმართ. წელს რეაბილიტაციის გეგმა დაეფუძნა საჭიროებების კვლევას. ამ მიდგომის ფარგლებში განხორციელდა სკოლების ინფრასტრუქტურის შესწავლა ქვეყნის მასშტაბით და, მწვავე საჭიროებების გამოკვეთის შედეგად, შემუშავდა სამწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფუნდამენტურ სამუშაოებს, კერძოდ: საძირკვლის გამაგრებას, გადახურვას, კარ-ფანჯრის გამოცვლას, გაზიფიცირებას, გათბობის სისტემების მოწყობას. ახალი მიდგომის შედეგად 2012 წელთან შედარებით გაორმაგდა რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობა (აჭარბებს 600-ს) და დაიზოგა საბიუჯეტო სახსრები (2013 წლის ბიუჯეტი 15%-ით ნაკლებია 2012 წლის ბიუჯეტზე).

ინფრასტრუქტურის კვლევის შედეგად განისაზღვრა 9 ახალი სკოლის მშენებლობის გადაუდებელი საჭიროება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები.

ამ ეტაპზე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები და მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაგეგმარება/განხორციელება. გეგმის მიხედვით უშუალოდ სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2013 წლის ნოემბერში და გაგრძელდება საშუალოდ 1–1.5 წელი.

დასრულდა მუშაობა ზოგადი განათლების სტრატეგიულ გეგმაზე, რომელიც მოიცავს 2013-2017 წლებს. შემუშავდა და განსახილველად მზად არის ზოგადი განათლების განვითარების სტრატეგიული ჩარჩო (2013-2017 წწ.).

პროფესიული განათლება

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ,,საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 წლებისათვის“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის, რომლებშიც ასახულია ყველა ის გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას პროფესიული განათლების სისტემა. საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ათასწლეულის განვითარების ფონდის დახმარებით შემუშავდა „პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია“.

სახელმწიფო რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი განაწილების მიზნით შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ კოლეჯებსა და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების გამჭვირვალე მექანიზმის ფორმირებას, კონკრეტულ პროფესიასთან (პროფესიათა ჯგუფთან) პირის შესაბამისობის განსაზღვრას. შედეგად, 2013 წლის საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირდა 15 ათასამდე პროფესიული განათლების მიღების მსურველი. შემუშავდა პროფესიული უნარების ტესტი.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი წესი, რამაც სამინისტროს შესაძლებლობა მისცა: წინა წელთან შედარებით 11 ათასიდან 20 ათასამდე გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა სამინისტროს მიერ დაფუძნებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სასწავლებლებში; პროფესიული განათლების ხუთივე საფეხურზე სრულად დაეფინანსებინა პროფესიული სტუდენტების განათლება, ნაცვლად წინა წელს თითოეულ სტუდენტზე გამოყოფილი 1000-ლარიანი ვაუჩერისა (რომელიც ხშირ შეთხვევაში 70%-ით ფინანსდებოდა და მხოლოდ I-II საფეხურის ხარჯებს ფარავდა) და/ან ზოგადი უნარებით მოპოვებული სტუდენტური გრანტისა (რაც ზღუდავდა სტუდენტების რაოდენობას IV-V საფეხურზე და მხოლოდ 17%-ს აფინანსებდა, ისიც ნაწილობრივ); აღმოეფხვრა არასაკმარისი ვაუჩერის გაცემით მაღალმთიანი და მცირეკონტინგენტიანი სასწავლებლების ბიუჯეტში გამოწვეული დეფიციტი; პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის მიეცა პროფესიის თავისუფალი არჩევანი და მოეხსნა წინა წელს პრიორიტეტულ პროფესიებზე დაწესებული დაფინანსების ფორმით არსებული შეზღუდვა.

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესწავლილ იქნა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საჭიროებები და შემუშავდა სასწავლო შენობებისა და სახელოსნოების რეაბილიტაციის პროექტები. სრულდება 5 საჯარო პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია სხვადასხვა რეგიონში და ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა ამბროლაურის პროფესიული კოლეჯისათვის.

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ,,ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისია“, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა რეკომენდაციები ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებისათვის. სამინისტროს ინიციატივითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა 4 სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა მათი ფუნქციები, დაიგეგმა სამუშაო პროცესი, მომზადდა პროექტები 23 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებისა და განვითარების შესახებ.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების პროგრამა. წლის ბოლომდე ამ პროგრამით 150-მდე მსჯავრდებული ისარგებლებს.

2013 წლის იანვრიდან ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან თანამშრომლობით (1 257 000 - დოლარიანი დაფინანსებით) დაიწყო პროგრამის - „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანათლებლო დაწესებულებებში“ - განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარება/ადაპტირება. ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შეფასებისა და პროფორიენტაციის პროცედურები; ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა შეხვედრები დამსაქმებელთან სსმ პირთა დასაქმების უფლებებთან დაკავშირებით; განისაზღვრა სპეციალური საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების წესი. შედეგად, 2013 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ სასწავლებლებში 60 სპეციალური საჭიროების მქონე პირი დარეგისტრირდა.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ეტაპის შედეგად, პროფესიული განათლების 5-საფეხურიან სისტემაში გაუქმდა მე-4 და მე-5 საფეხურზე გადასვლისას ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის სახით არსებული ბარიერი, რაც პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპს არღვევდა. გარდა ამისა, კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით კერძო პროფესიულ სასწავლებლებს მიენიჭათ საკუთარი რეგულაციების მიხედვით სტუდენტთა მიღებისა და ჩარიცხვის უფლება.

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპელი ექსპერტების დახმარებით შემუშავდა დამსაქმებელთა და კერძო სექტორის პროფესიული სტანდარტების განვითარების პროცესში ჩართულობის პროექტი. შედეგებით ისარგებლებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროფესიული სასწავლებელი.

პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის, საერთაშორისო შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების კონკურენტუნარიანობისა და მობილობის გაუმჯობესების, დასაქმების მაჩვენებლების ზრდის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროექტი.

უმაღლესი განათლება

2013 წლის ზაფხულში უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწორი სახელფასო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დანერგვას, აკადემიურ თანამდებობებზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის ფლობის აუცილებლობასა და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობას.

უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების, ხელმისაწვდომობის გაზრდისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, დაიწყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური თავისუფლების, უნივერსიტეტების ავტონომიის, კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია/ერთიანობის უზრუნველყოფას. ამისათვის საქართველოში მოწვეულ იყვნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების მაღალი რანგის პროფესორები. ჩატარდა რამდენიმე გასვლითი სამუშაო სემინარი აკადემიური თავისუფლების, უნივერსიტეტების თვითმმართველობის, ავტონომიურობის, სწავლისა და კვლევის ერთიანობის თემებზე. მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები უცხოელ პარტნიორებთან/კონსულტანტებთან.

სამინისტროში შეიქმნა უმაღლესი განათლების რეფორმაზე მომუშავე მუდმივმოქმედი საბჭო. საბჭოს წევრები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები, მეცნიერებათა აკადემიისა და პარლამენტის წევრები.

სახელმწიფო უნივერსიტეტების იურიდიული სტატუსის შეცვლის (ააიპ-ის სტატუსი შეიცვალა სსიპ–ით) შემდეგ საბჭოს ფარგლებში შემუშავდა კანონპროექტების პაკეტი, რომლის მიხედვითაც, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, იმისათვის, რომ ეფექტიანად განხორციელოს სსიპ–ის ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა, მიენიჭა სპეციალური უფლებები და განესაზღვრა საგადასახადო შეღავათები.

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით 2013-2014 სასწავლო წელს გაფართოვდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა. 2013 წელს პირველად სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის რამდენიმე წამყვანი მიმართულების 17 სპეციალობაზე სტუდენტთა სწავლის სრულ კურსს (4 წელი) სახელმწიფო აფინანსებს. გასული წლებისაგან განსხვავებით, ნაცვლად საშუალოდ 1000 სტუდენტისა 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობამ წელს 4 500-ს გადააჭარბა.

ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, 2013-2014 სასწავლო წელს პირველად ამოქმედდა მაგისტრატურის გრანტით დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში. წლიურმა ბიუჯეტმა შეადგინა 205 ათასი ლარი. გაორმაგდა 2013-2014 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში და შეადგინა 2 560 000 ლარი; გაორმაგდა პროგრამის - „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ - ბიუჯეტი და შეადგინა 3 500 000 ლარი; სტიპენდიას მიიღებს სამინისტროს მიერ დაფუძნებული ათი ა(ა)იპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 400 სტუდენტი.

წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (უმაღლესი აკადემიური განათლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლის შემდეგ პირველად) შეიმუშავა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო-კვლევითი გრანტებით დაფინანსების პროგრამა. ბიუჯეტმა შეადგინა 2 100 000 ლარი, რომელიც სულ მცირე 100 სტუდენტს დააფინანსებს.

განახლებული სახით ხორციელდება პროგრამა „ცოდნის კარი“ (4 მლნ ლარი), რომელიც გულისხმობს ქვეყნისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეებისათვის კონკურსის წესით სწავლის დაფინანსებას. წინა წლისგან განსხვავებით, მიმდინარე წელს დაფინანსდა არა მარტო მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის, არამედ დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტების სწავლაც.

გაფართოვდა ამ პროგრამის მონაწილეთა სპექტრი და სტიპენდიატების რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა. წელს პირველად, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ სტუდენტები შემოქმედებითი და სახელოვნებო მიმართულებით, როგორც უმაღლეს დიპლომირებულ პროგრამებზე, ისე სხვადასხვა მასტერკლასზე.

ამ ეტაპზე სამინისტრო განიხილავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკების განახლების პროექტებს. პროექტის ფარგლებში მოხდება ბიბლიოთეკების აღჭურვა საჭირო ლიტერატურითა და ინვენტარით. ამასთან ერთად, სპეციალური უწყებათაშორისი კომისია განიხილავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიციირებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

8. თავდაცვა და უსაფრთხოება

თავდაცვის სისტემა და შეიარაღებული ძალები

თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები მიზნად ისახავს ეფექტიანი, თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების შექმნას, რომელიც მზად იქნება, დაიცვას ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. რეფორმირების პროცესში ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს: გამჭვირვალობისა და სამოქალაქო კონტროლის გაზრდა, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების დახვეწა, ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელება და ნატოსთან თანამშრომლობა.

პირველ ეტაპზე ხდება არსებული სისტემის სიღრმისეული გაანალიზება, ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და საჭირო ცვლილებების სახელმძღვანელო დოკუმენტებში ასახვა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მრავალწლიან პროგრამებზე დაფუძნებული თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავების, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცედურების დახვეწაზე და შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვისათვის აუცილებელი რესურსების ეფექტიანი დაგეგმვა და გადანაწილება.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის სამოქმედო გეგმასა და შესაბამის ფინანსურ გათვლებზე. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა ამ ეტაპზე უკვე შემცირდა 12 თვემდე.

შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შეიარაღებული ძალებისა და გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ოპტიმიზაცია; მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი; გაუმჯობესდა კოორდინაცია გაერთიანებულ შტაბსა და სამინისტროს შორის. ასევე, სახმელეთო ჯარების ბაზაზე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ოპერატიული სარდლობები, რაც შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის ეფექტიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწის; დოქტრინებისა და საველე წესდებების შემუშავების ერთიანი სისტემის განვითარების; ამოცანებზე ორიენტირებული და ხარისხიანი წვრთნების ორგანიზების; სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების განვითარების; შეიარაღებული ძალების მობილურობისა და კონტრმობილურობის უზრუნველყოფის; საჰაერო თავდაცვისა და თვალთვალის სისტემების განვითარებისა და სამხედრო დაზვერვის გაძლიერების მიმართულებით. რეზერვის სისტემის დახვეწის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა მიღებული გამოცდილების და არსებული საჭიროებებისა და რესურსების ანალიზზე.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი და საწვრთნელი პირობების გაუმჯობესებას.

შემუშავდა ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოდერნიზაციის გეგმა და განრიგი. სარემონტო სამუშაოები დაწყებულია თითქმის ყველა სამხედრო ბაზაზე.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეროვნული სამხედრო ინდუსტრიის განვითარებაზეც. სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მიმდინარე წელს დაიწყო 26 ახალი პროექტის განხორციელება. მათგან 7 უკვე დასრულებულია, შეიარაღებული ძალების მიერ მოწონებულია და გადაყვანილია სერიული წარმოებისთვის მზადყოფნის ფაზაში.

სამინისტროს მიერ დასახული მიზნები და განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობას და საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას.

საქართველო აქტიურად იყენებს ყველა იმ ფორმატსა და მექანიზმს, რომელიც ქვეყნის ნატოსთან დაახლოებას უწყობს ხელს. ესენია: ნატო-საქართველოს კომისია, ეროვნული სამოქმედო გეგმა, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი, ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა, ნატოს ნდობის ფონდი, ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამა, ნატოს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამა და სხვ.

ამ ეტაპზე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების მისიაში (ISAF), აშშ-ს სარდლობის დაქვემდებარებაში, ჰელმანდის პროვინციაში 1600-მდე ქართველი ჯარისკაცი მსახურობს. ქართული მხარე 2014 წლის შემდეგაც გააგრძელებს ავღანეთის მისიაში მონაწილეობას შემცირებული კონტინგენტითა და ახლი მოდალობებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიის გავლით ტვირთების ტრანზიტთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში, ასევე ევროკავშირის სამხედრო წვრთნების მისიაში ქართველი სამხედროების ჩართვასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, აშშ-სთან საქართველო-აშშ-ს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიისა და თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის ფარგლებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო თავდაცვის მინისტრის მაღალი დონის, წარმატებული ვიზიტი აშშ-ში მიმდინარე წლის აგვისტოში, რომლის დროსაც განიხილებოდა მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები აშშ-ის თავდაცვის მდივანთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან.

თავდაცვის სამინისტრო ოფიციალურად შეუერთდა ნატოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების/კეთილსინდისიერების ამაღლების (Building Integrity) პროგრამას. ეს პროგრამა შეიქმნა 2007 წელს და მისი მიზანი ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობაა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან. რეგულარულად იმართება თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრები თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებთან. სამინისტროს ინიციატივით კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც სამინისტრომ აიღო ვალდებულება, წელიწადში ერთხელ პარლამენტს ჩააბაროს ანგარიში შესრულებული

სამუშაოსა და გაწეული ხარჯების შესახებ და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს წინასწარ წარუდგინოს ინფორმაცია 2 მლნ ლარზე მეტი ღირებულების პროდუქციისა და 4 მლნ ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შესყიდვის შესახებ.

თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობისა და სამოქალაქო კონტროლის უზრუნველსაყოფად თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთანაც. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებული სამი თემატური სამუშაო ჯგუფი: 1) გამჭვირვალობა და ადამიანის უფლებები; 2) თავდაცვის ტრანსფორმაცია; 3) ნატოში ინტეგრაცია და საერთაშორისო ოპერაციები. ჯგუფებს მინისტრი და მინისტრის მოადგილეები პერიოდულად ხვდებიან და სამინისტროს მიერ მომზადებულ კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და მიმდინარე რეფორმებს აცნობენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. 2012 წელს ჩატარდა 22 ღია და 434 დახურული შესყიდვა. მიმდინარე წელს (აგვისტოს მდგომარეობით) ღია ტენდერების რაოდენობა 136-მდე გაიზარდა, ხოლო დახურული შესყიდვების რაოდენობა 76-მდე შემცირდა). სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომებს ესწრებიან არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამინისტრომ აქტიურად დაიწყო მუშაობა ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადებასა და განხორციელებაზე. მომზადდა „ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია“, „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა“, პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეთა შერჩევის ახალი სისტემა და ღია კონკურსების ორგანიზების პროგრამა.

ამუშავდა სამხედრო მოსამსახურეების შერჩევისა და დაწინაურების ახალი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა. მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო პერსონალის მართვის დეტალური სტრატეგიის, ოფიცერთა და სერჟანტთა პროფესიული განვითარების პროგრამების, პირადი შემადგენლობის დაწინაურების სისტემის, პირადი შემადგენლობის გადანაწილებისა და დანიშვნის სისტემების დახვეწაზე. მზადდება თანამდებობრივი ანაზღაურებიდან წოდებრივ ანაზღაურებაზე გადასვლის გეგმაც.

მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და კადეტთა ლიცეუმში. მომზადდა აკადემიის განვითარების ახალი ხედვა. გადამუშავდა და დაიხვეწა საბაკალავრო სწავლების პროგრამები; საშუალოდ 25%-ით გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეების ხელფასი. ხელფასი გაეზარდათ ავღანეთის მისიაში მონაწილე სამხედროებსაც (300 აშშ დოლარით). საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები ერთჯერადი დახმარების სახით 100 000 ლარს მიიღებენ. ასევე დაგეგმილია საერთაშორისო მისიებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისთვის ყოველთვიური 500-ლარიანი კომპენსაციის დადგენა, რომელიც მომავალში 1000 ლარამდე გაიზრდება.

ვეტერანთა პირობების გასაუმჯობესებლად შეიქმნა „ვეტერანთა საკითხების სამთავრობო კომისია“, რომლის გადაწყვეტილებითაც ვეტერანთა დეპარტამენტი ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურად გადაკეთდება, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გავა და პირდაპირ მთავრობას დაექვემდებარება.

თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილი ინსტიტუციონალური რეფორმები წარსული გამოცდილების გაანალიზებას ეფუძნება. შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დეტალურად სწავლობს უახლესი წარსულის ომებისა და საბრძოლო მოქმედებების გამოცდილებას.

დამტკიცდა ,,თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016“, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს და მის სამომავლო სტრუქტურას აყალიბებს. მიმდინარეობს მუშაობა ახალი ,,ეროვნული სამხედრო სტრატეგიის“ შემუშავებაზე. მასში გაწერილი იქნება შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნები და ამოცანები და მათ შესასრულებლად საჭირო სამხედრო შესაძლებლობები.

9. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა

სამთავრობო პროგრამის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. შემუშავდა პოლიციის ეთიკის კოდექსი და სხვადასხვა მიმართულების საპოლიციო სამსახურების ქცევის წესები. პოლიცია თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. ასევე აღსანიშნავია შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის N 713 ბრძანება „არჩევნების პერიოდში შსს–ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს, შსს–ს თანამშრომელთა მხრიდან დაცულ იქნეს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება.

გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის შესაძლებლობები. დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით 30%-ით გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა, შესაბამისად, გაიზარდა საპატრულო პოლიციის მოქმედების არეალი. საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებზე დამატებით დამონტაჟდა საგზაო მონიტორინგის ავტომატიზებული სისტემები. განხორციელდა საპატრულო პოლიციის რებრენდინგი და განახლდა მისი ავტოპარკი. საპატრულო ეკიპაჟები აღიჭურვა ვიდეოკამერებითა და თანამედროვე ბორტკომპიუტერებით. დაიხვეწა და შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა. განხორციელდა საპატრულო პოლიციისა და შსს-ს ტერიტორიული ორგანოების შენობა-ნაგებობათა რეაბილიტაცია. გაიხსნა პოლიციის რამდენიმე ახალი შენობა.

განახლდა შსს-ს ვებგვერდი. მისი მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სამინისტროს სტრუქტურას, მიიღონ ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და მათი საქმიანობის შესახებ. ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოთხოვნებზე სამინისტრო დროულად რეაგირებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სამინისტროს სისტემის გამჭვირვალობას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სამინისტროს გამჭვირვალობის მაჩვენებელი.

მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ ისარგებლონ მობილური აპლიკაციის მომსახურებით, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს, მობილური ტელეფონით მიიღონ საჭირო ინფორმაცია დანაყოფების საქმიანობის, სამართალდარღვევების მარეგულირებელი ნორმების, საგზაო მოძრაობის წესებისა და სხვა მონაცემების შესახებ.

მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და პოლიციელთა მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების კონტროლის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა გენერალური ინსპექციის 24-საათიანი ცხელი ხაზი – „126“. ცხელი ხაზი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მათი კონსტიტუციური უფლებების დარღვევისა და შსს-ს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სხვა უკანონო მოქმედებების შესახებ უშუალოდ შეატყობინონ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მიმართულებას. პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში (დმი) მოთავსების მომენტიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელი ხდება პირის უსაფრთხოებისა და ღირსეული ყოფის უზრუნველყოფაზე. განხორციელდა დმი-ის სისტემის საჭიროებების ანალიზი. გაუმჯობესდა დმი-ის ინფრასტრუქტურა. ფოთსა და ზესტაფონში გაიხსნა დროებითი მოთავსების ახალი იზოლატორები, რომლებიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. თბილისის დმი-ში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დმი–ში გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა. ყველა იზოლატორში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები. პერიოდულად ხორციელდება დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა ტრენინგი, მათ შორის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების საკითხებზე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა სამინისტრო. უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის პროექტი. ეს პროექტი შექმნილია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გაუმჯობესებისა და არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით. სტრატეგიის შესაბამისად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, რისკჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმის პრევენციას, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების შესაძლებლობების განვითარებას, უწყებათაშორის კოორდინაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და სხვა ღონისძიებებს.

მთავრობის განკარგულების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით შექმნილმა უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის პროექტი, რომელიც სულ მალე დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას. 2013 წლის ივლისში შსს-ს აკადემიაში გაიხსნა „ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრის“ თბილისის რეგიონული სამდივნო. ევროკავშირის ეს ინიციატივა ხორციელდება ევროკომისიის ერთიანი კვლევითი ცენტრისა (JRC) და გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) ერთობლივი ძალისხმევით. სამდივნო აერთიანებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, სამხრეთ კავკასიას, უკრაინასა და მოლდოვას. არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, აღნიშნული სამდივნო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და მთელი რეგიონისთვის. სამდივნოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ქბრბ საფრთხეების შემცირებაში ჩართული უწყებების შესაძლებლობების განვითარება.

ნარკოტიკულ ნივთიერებებთან წვდომის შეზღუდვის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რათა ხელი შეუწყოს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინების პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბებას და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს მსგავსი სამართალდარღვევების გამოვლენაში.

შსს-ში დაწყებულია მიგრაციის სამსახურის ჩამოყალიბების პროცესი. სამინისტროში შეიქმნა იმიგრაციის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ქვეყანაში უკანონოდ მყოფ პირთა განთავსების ცენტრის მშენებლობა. შსს-მ სხვა უწყებებთან ერთად შეიმუშავა მიგრაციის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შემუშავდა მსმენელთა მიღების ახალი წესი. გადამუშავდა არსებული სასწავლო პროგრამები. გაიზარდა მათი ხანგრძლივობა. პროგრამებს დაემატა პრაქტიკული სავარჯიშოები და დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები (საველე სავარჯიშოები, იმიტირებული სცენარებით სწავლება და სხვ.). შემუშავდა სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა, თანამშრომელთა და მსმენელთა ქცევის წესები, ახალი საბაზისო ტრენინგ-მოდულები. დაარსდა მეხანძრე მაშველთა მომზადების ფაკულტეტი. გაუმჯობესდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა იმიტირებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა მთელი ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება (პატრულ-ინსპექტორები, უბნის ინსპექტორები და დეტექტივ-გამომძიებლები). დაწყებულია მუშაობა „საპოლიციო რეგულირების სამაგისტრო პროგრამაზე“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, სადაც მნიშვნელოვნად აისახა როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, ისე გათვალისწინებულ იქნა ქვეყანაში არსებული გამოწვევები. ამ ეტაპზე შემუშავებულია შემდეგი კანონპროექტები: „პოლიციის შესახებ“; „საგზაო მოძრაობის შესახებ“; „სამართალდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“; „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. აღსანიშნავია ასევე, რომ შემუშავდა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

ამ კანონპროექტებიდან ნაწილი წარედგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად, ნაწილი კი მზადდება წარსადგენად.

10. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით გაძლიერდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომლის სისტემაშიც დაბრუნდა და ჩამოყალიბდა დამატებითი უწყებები და სტრუქტურები. ამისათვის მომზადდა და დამტკიცდა 47 საკანონმდებლო აქტი, გაორმაგდა საბიუჯეტო სახსრები.

ევროკავშირის მოთხოვნებთან ეროვნული სამართლებრივი-ნორმატიული ბაზის შესაბამისობის მიზნით, ასევე ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესამუშავებლად მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონებში და შემუშავდა რამდენიმე კანონის პროექტი ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების მართვის, ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ.

გენმოდიფიცირებული (გმო) თესლისა და სანერგე მასალის გარემოში ინტროდუქციის აკრძალვისა და ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) შესახებ კანონის პროექტი.

ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ფარგლებში: შემუშავდა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი; იწყება ბორჯომ-ბაკურიანის ტყეების ინვენტარიზაცია (საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია ბოლო 20 წელია არ ჩატარებულა); სატყეო სექტორში ავსტრიის მთავრობის მიერ გამოყოფილი 1.5 მლნ ევროს ფარგლებში დაიწყო მუშაობა ბორჯომში ომის შედეგად გადამწვარი ტყეების აღსადგენად; დაიწყო ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მფლობელების სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმება; მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო ბრძოლა ნაძვნარი კორომების მავნებლების წინააღმდეგ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში; უკანონო ტყეთსარგებლობის ფაქტების აღკვეთის მიზნით აღდგა ხეტყის მოძრაობის კონტროლის მექანიზმები და გამკაცრდა სანქციები ბრაკონიერობისათვის. მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის მთავრობასთან 3 მლნ ევროს გამოყოფის თაობაზე. ასევე, მიმდინარეობს მოლაპარაკება ავსტრიასა და სხვა დონორებთან თანხების მობილიზების მიზნით სატყეო სექტორის განვითარებისათვის.

გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის თანამედროვე სისტემის შექმნის, ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის, გარემოსთვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევების შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით, მიმდინარე წლის მაისში შეიქმნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. დეპარტამენტის დაკომპლექტება დასრულდება სექტემბერში.

შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეების დაცვა-აღდგენის მიზნით მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები პლაჟების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად; შემუშავდა რეკომენდაციები დაბა ჩაქვში მდინარეთა ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან და საგზაო/სარკინიგზო ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობებისას გამომუშავებული ინერტული მასალის შესაძლო განთავსებისა და შემდგომი გამოყენების შესახებ, ასევე

ქობულეთი-ფოთის სანაპირო ზოლში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; მომზადდა რეკომენდაციები შავი ზღვის სანაპიროზე სასაზღვრო საგუშაგოების ნავმისადგომების განთავსების ოპტიმალური ადგილების შესარჩევად; ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო 100 000 ტონა ქვიშა-ხრეშის ჩატანა სანაპირო ზოლში მდინარე ჭოროხის შესართავთან; გერმანიის მთავრობის დახმარებით (7 მლნ ევრო) აჭარაში დაფინანსდება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

საწვავის ხარისხის, ავტოპარკის და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშესაწყობად შეიქმნა უწყებათშორისი კომისია, რომელმაც შეიმუშავა ,,საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გარემოს დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ 2013-2016 წლების სახელმწიფო პროგრამა"; საწვავის ხარისხის კონტროლის განსახორციელებლად მოხდა ლაბორატორიული შესაძლებლობების შეფასება.

ჰაერის ხარისხის მართვის, ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემის მოდერნიზაციისა და ევროპული სტანდარტის მიხედვით ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის განვითარების მიზნით, ევროკავშირის დახმარებით, იწყება პროექტი, რომელიც შეისწავლის საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესაძლებლობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მაისში საქართველო შეუერთდა შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ოქმს. მიმდინარეობს მუშაობა ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგთან დაკავშირებით და შეფასების ერთობლივი პროგრამა გრძელვადიან დაფინანსებასთან დაკავშირებით (EMEP); დაიწყო ეროვნული შესაძლებლობების შეფასება კონვენციის კიდევ სამ ოქმთან შესაერთებლად; მონრეალის ოქმის ვალდებულებების შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა ოზონდამშლელი ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების საქართველოს ეროვნული სტანდარტი.

ნარჩენებსა და ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისა და მართვის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია; ჰოლანდიის მთავრობის დაფინასებით მიმდინარეობს ბორჯომის სანიტარიული ნაგავსაყრელის, ასევე 2 თანამედროვე ინსინერატორის მოწყობა სამედიცინო ნარჩენებისათვის (ერთი აღმოსავლეთ, მეორე – დასავლეთ საქართველოში); ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარეობს სოფელ ურავსა და სოფელ ცანაში არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენების მართვა/კონსერვაციის ღონისძიებები; ოქტომბერში მინამატაში (იაპონია) საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად ხელს მოაწერს ვერცხლისწყლის საერთაშორისო კონვენციას.

ეროზიის შემცირების, გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისათვის მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმების შემუშავების მიზნით და გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, მიმდინარეობს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის პროექტის მომზადება. ავსტრიის მთავრობის ფინანსური დახმარებით და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით დაიწყო ქარსაცავი ზოლების გაშენება დედოფლისწყაროს რაიონში. 2015 წლისათვის გაშენდება 100 კმ-ის ქარსაცავი ზოლი.

გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, მომავალი წლიდან იწყება პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს თუშეთში ეროზიის შემცირებას (5 მლნ ევრო).

სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მოსახლეობის დროული გაფრთხილების სისტემის შესამუშავებლად, მდინარე რიონის აუზში მიმდინარეობს ჰიდროლოგიური პროგნოზის თანამედროვე მოდელის დანერგვა, ასევე მდინარის აუზში წყალდიდობა-წყალმოვარდნების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი უბნების გამოვლენა და ამ უბნებზე ჰიდროგრაფიული სამუშაოების წარმოება; ასევე მიმდინარეობს ამავე აუზში არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მრავალწლიური მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა; გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისს წარედგინა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის 2011-2013 წლების განხორციელების ეროვნული ანგარიში; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების სფეროში თანამშრომლობისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების თაობაზე; მომზადდა ეროვნული ანგარიში „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისათვის"; შედგა მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების 450-მდე კადასტრი; გაიმართა და ექსპლოატაციაში შევიდა 10 ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო. 2014 წლისთვის სხვადასხვა რეგიონში დამატებით დამონტაჟდება 40-ზე მეტი ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტი; „საქართველოში რადიაციის ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნის" პროექტის ფარგლებში შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 1 ცენტრალური და 7 რეგიონალური სადგური 7 ქალაქში. შედეგად, დაიწყო გამა-რადიაციული ფონის უწყვეტი მონიტორინგი და თბილისში მონაცემების ავტომატურად გადმოცემა ყოველ 6 საათში.

სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემუშავდა 2014-2020წწ საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა (NBSAP), რომელიც დამტკიცდება 2013 წლის ბოლოს; გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კლიმატის ცვლილების სტრატეგია; ორჰუსის კონვენციის მოთხოვნების შესრულების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაუქმდა გადასახადები გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე და მოსახლეობისათვის გახდა უფასოდ ხელმისაწვდომი. ბაზელისა და როტერდამის კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად, მუშავდება ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პაკეტი.

ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყო საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" შეტანილ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მონიტორინგი; დაიწყო მუშაობა სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის საკანონმდებლო პაკეტზე; გერმანიის მთავრობამ დაცული ტერიტორიების დაარსება/განვითარებისათვის გამოყო 8 250 000 ევრო.

გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დაფინანსებით, ჭაჭუნის აღკვეთილში მიმდინარეობს ჭალის ტყის აღდგენა-რეაბილიტაცია; გერმანიის მთავრობის დაფინანსებით მომზადდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა; დაიწყო 9 მიმდებარე სოფელში სასმელი წყლის

სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც სოფლების 4 000 მოსახლეს მიეწოდება წყალი; ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მომზადდა თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის პროექტი; შპს „ენერგოტრანსთან“ შეთანხმების საფუძველზე მოხდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამავალი 500-კვტ-იანი შავი ზღვის რეგიონალური ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შეძენა და ელექტროგადამცემი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე რეინჯერთა სადგურის მოწყობა.

ყულევის შავი ზღვის ტერმინალთან ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ტერმინალი 2024 წლამდე ეტაპობრივად გამოყოფს 7 მლნ ევროს კოლხეთისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ინფრასტუქტურის განვითარებისთვის.

11. ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სს „ინტერრაოეესა“ და სს „ენერგოპროჯორჯიასთან“ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების თანახმად, თბილისში და დანარჩენ საქართველოში (გარდა კახეთისა) შემცირდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის ტარიფი, მომხმარებელთა ყოველთვიური მოხმარების სიდიდის მიხედვით 1კვტ.სთ-ზე 3.54 და 4 თეთრის ოდენობით. ასევე განხორციელდა კახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სუბსიდირება, საერთო ჯამში 1.5 მლნ ლარის ოდენობით (სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმშია).

მიმდინარე წლის 1 მარტიდან შესაბამის გაზის მომწოდებელ და გაზგამანაწილებელ კომპანიებთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება და შემცირდა საყოფაცხოვრებო მომხმარებელთათვის ბუნებრივი აირის ტარიფი 5 თეთრით.

აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები გაზიფიცირებისა და გამრიცხველიანების კუთხით. მიმდინარე წლის აგვისტოს მდგომარეობით ჯამში გამრიცხველიანებულია 1.262.249 აბონენტი; 2013 წლის ბოლომდე სს „ენერგოპროჯორიას“ დაგეგმილი აქვს დამატებით 40.555 აბონენტის გამრიცხველიანება. 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით ჯამში გაზიფიცირებულია 879.371 აბონენტი, 2013 წლის ბოლომდე კი იგეგმება დამატებით 23.527 აბონენტის გაზიფიცირება.

საქართველოს მასშტაბით მოხდა პირველადი და საკმაოდ დეტალური შესწავლა ყველა იმ სოფლისა, რომლებსაც არ მიეწოდებათ ელექტროენერგია. გამოვლინდა 50-მდე ასეთი სოფელი, რომელთა ელექტროფიცირებისათვის საჭირო იქნება 9 მლნ ლარამდე. წელიწადნახევრის განმავლობაში იგეგმება პრობლემის მთლიანად აღმოფხვრა. ამ მიმართულებით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით 4 სოფლის სრული ელექტროფიკაცია უკვე დასრულდა და სამუშაოებზე სულ 400 ათასი დოლარი დაიხარჯა. ეს სოფლებია: დმანისის რაიონში - სოფელი მამიშლარი, ქარელის რაიონში - სოფელი იმერხევი, ახმეტის რაიონში - სოფელი ჭართალა, დუშეთის რაიონში - სოფელი შატილი. ასევე, თიანეთის, თეთრიწყაროს, ხაშურის, გორის კასპისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ზოგიერთი სოფლების ელექტროფიცირების მიზნით საჭირო სამუშაოების, კერძოდ ელექტროგადამცემი ხაზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის პროექტირებისა, ასევე მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 1 702 000 ლარი.

მთავრობისათვის პრიორიტეტულია ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორში ინვესტიციების გაზრდას, ასევე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლაში, დაიცავს როგორც ინვესტორის, ისე საქართველოს მთავრობის ინტერესებს.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებთან. „საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდთან“ ერთად იწყება ახალი 20 მგვტ

ქარის სადგურების მშენებლობა, 300 მგვტ განვითარების პერსპექტივით. უახლოეს დღეებში მოხდება მიწების დაკანონება და აღიმართება ქარის სიმძლავრის გამზომველი აპარატურა. პროექტით უკვე დაინტერესდნენ სართაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

მიმდინარე წელს დასრულდება 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა: ყაზბეგში - „ლარსიჰესი“(19 მგვტ), გურიაში - „ბახვიჰესი 3“ (9.8 მგვტ) და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - „შილდაჰესი“(4.8 მგვტ). სამივე ჰესის ამოქმედების შემდეგ, ენერგოსისტემა წლიურად დამატებით 166 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიას მიიღებს, რაც სექტორის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მიმდინარე წლის ბოლომდე აჭარის რეგიონში მდინარე აჭარისწყალზე იგეგმება ,,შუახევიჰესის“ მშენებლობა, დადგმული სიმძლავრით 175 მგვტ., სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება კი 175. 000. 000 აშშ დოლარი იქნება.

განაცხადი გაკეთდა „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შესახებ. „ენერგეტიკული გაერთიანება“ (Energy Community) წარმოადგენს პროცესს, რომლის მიზანიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი რეგიონალური ენერგეტიკული ბაზრის შექმნაა და რომლის ფუნქციონირებაც ეფუძნება ევროკავშირის დირექტივებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (Treaty establishing the energy Community) პრინციპებს. მისი საბოლოო მიზანი ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზართან ეფექტიანი ინტეგრაციაა. საქართველო, ორგანიზაციაში გაწევრიანების შემთხვევაში, ევროკავშირსა და მის ბაზართან ინტეგრაციის თვალსაზრისით, ერთი სექტორით წინ წაიწევს, რაც გაამყარებს ჩვენს ურთიერთობას ევროკავშირთან.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა ელექტროენერგიის ბაზრის ახალ მოდელზე - „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმი - 2015“. მოდელზე მუშაობა 2014 წლის ბოლომდე დასრულდება, ხოლო ამოქმედდება 2015 წლიდან.

2009 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა და ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო საქართველოს ენერგოსისტემისათვის უმნიშვნელოვანესი ,,შავი ზღვის ელექტროგადამცემი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც ითვალისწინებს გარდაბანი-ახალციხე-ზესტაფონის მონაკვეთზე 500 კვ.ეგხ.-ის (დაახლოებით 270კმ) მშენებლობა/რეაბილიტაციას, ახალციხე-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე 400 კვ. გადამცემი ხაზისა (დაახლოებით 35კმ) და ახალციხეში 500/400კვ. ქვესადგურის (მუდმივი დენის ჩანართით) მშენებლობას. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 300 მლნ ევრო. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების სრულ მონიტორინგსა და კონტროლს ახორციელებს სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანია შპს ,,ენერგოტრანსი“. პროექტი შესაძლებელს გახდის საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლებასა და გაუმჯობესებას; ელექტროენერგიის უწყვეტ მიწოდებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესებას; ეკონომიკური განვითარების წინაპირობის შექმნას; ქვეყნის ენერგობალანსში ნამეტი ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტს;

ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შეუფერხებელ განხორციელებას. სექტემბერში იგეგმება აღნიშნული ხაზის საექსპლუატაციოდ გაშვება.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (სსე)/ ,,ენერგოტრანსს” განზრახული აქვს დაახლოებით 8 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის აშენება, რომელიც მიუერთდება არსებულ 500 კვ.ეგხ. ,,კავკასიონს“ და დაახლოებით 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ.ეგხ-ს გაყვანა ჯვრიდან ხორგამდე, ხორგას 220 კვ. და ჯვრის 500 კვ. ქვესადგურებს შორის. ასევე, „სსე“/,,ენერგოტრანსს“ გათვალისწინებული აქვს ჯვართან ახალი 500/220 კვ. ქვესადგურის მშენებლობა.

USAID–ის ფინანსური მხარდაჭერით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ახორციელებს 220კვ. ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „სენაკი 1–2“ და შესაბამისი ქვესადგურების („წყალტუბო“ და „მენჯი“) აღდგენა/რეაბილიტაციის სამუშაოებს. აღნიშნული ხაზი გასული საუკუნის 90–იან წლებში გაიძარცვა. მისი სავარაუდო სიგრძე 58.8 კმ-ია. არსებული 212 საყრდენი სტრუქტურიდან მხოლოდ 3 მაღალი ძაბვის ანძაა შემორჩენილი. ელექტროგადამცემ ხაზთან ერთად აღსადგენია „წყალტუბო–220“ და „მენჯი–220“ ქვესადგურებში შესაბამისი მაღალი ძაბვის უჯრედები.

USAID გააფორმებს ერთწლიან კონტრაქტს 220 კვ. ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის; „სენაკი 1–2“–ის და „წყალტუბო–220“ და „მენჯი–220“ ქვესადგურებში შემავალი და გამომავალი მაღალი ძაბვის უჯრედების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 10 მლნ აშშ დოლარს. სამუშაოების დასრულება იგეგმება 2014 წლისათვის.

მიმდინარეობს მუშაობა ახალი 220კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის“, ასევე ახალციხიდან შუახევის ჰესამდე ერთჯაჭვა ხაზის, ხოლო ბათუმამდე ორჯაჭვა ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, მუშავდება ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, სს „ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „აჭარისწყალი - საქართველოს“ შორის. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება დამატებითი ელექტროენერგიის გატანა თურქეთის მიმართულებით, გაუმჯობესდება ბათუმის ელექტროენერგიით მომარაგება, ასევე შესაძლებელი იქნება მდინარე აჭარისწყლის ჰესების მიერ გამომუშავებული სიმძლავრის გატარება ახალციხისა და ბათუმის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას და უსაფრთხოების გაუმჯობესებას. აღნიშნული პროექტის სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 70 მლნ ლარია.

2013 წლის 3 ივლისს გაფორმდა სამმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატს შორის, რომელიც მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის (GIS) დანერგვას გულისხმობს. პროექტის განხორციელებისათვის ნორვეგიამ საქართველოს 1.792.800 ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო. აღნიშნული სისტემის საქართველოში დანერგვის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი დაითვალოს და

ელექტრონულად აღირიცხოს. პროგრამის დანერგვის შემდეგ შემუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ახალ ჰიდროლოგიურ მონაცემებს და მის ანალიზზე დაფუძნებულ საინვესტიციო პროექტებს შეიმუშავებს, რომელიც, თავის მხრივ, ინვესტორს ფინანსური და ტექნიკური კუთხით პროექტის განხორციელებას გაუმარტივებს.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ 2013-2017 წწ. გეგმავს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის სრულ რეაბილიტაციას, რაც მოგვცემს საშუალებას დასავლეთ საქართველოს შეუფერხებლად მიეწოდოს ბუნებრივი აირი გაზრდილი მოცულობით.

12. სამოქალაქო ინტეგრაცია და კონფლიქტები

სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა

საქართველოს მთავრობა კოორდინირებას უწევს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების, შესრულებისა და ანგარიშგების პროცესს.

საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა აქტიურად ჩართვის მიზნით განხორციელდა პროექტები, რომლებიც მიმართულია საარჩევნო პროცესში ახალგაზრდების ჩაბმისკენ, ქალ ამომრჩეველთა გააქტიურებისკენ, ამომრჩეველთა ინფორმირებისკენ, რაც მოიცავს ყოველდღიური საარჩევნო დაიჯესტისა და პოლიტიკური თოქშოუების უმცირესობების ენებზე თარგმნას და მათ რეგიონალურ ტელევიზიებში განთავსებას; ეს პროექტები აგრეთვე მიზნად ისახავს საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნას; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ინფორმირებას.

ხდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სისტემატური ინფორმირება ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. შემუშავდა საინფორმაციო ბანერის დიზაინი, ინფორმაცია ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლების პროგრამებს, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. კანონპროექტის თანახმად, ყველა უმცირესობის წარმომადგენელი, და არა მხოლოდ ისინი, დაცული იქნებიან დისკრიმინაციისგან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კანონპროექტის შემუშავებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული ყველა უმცირესობა, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები, რომელთა შენიშვნები და რეკომენდაციები ასახულია კანონპროექტში.

დიასპორასთან ურთიერთობის ხელშეწყობა ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, სამშობლოში დაბრუნების, ემიგრაციაში დარჩენილთა დახმარებისა და ისტორიული დიასპორის მხარდაჭერის მიმართულებით.

მომზადდა კანონპროექტები მიგრაციასა და დიასპორასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შესატანად, შემუშავდა აგრეთვე „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის პროექტი. მომზადდა საქართველოს მიგრაციის კოდექსის პროექტი, რომელიც გადაეგზავნა მიგრაციის სამთავრობო კომისიას.

მომზადდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფოს დამოკიდებულების განსაზღვრას.

გაიმართა შეხვედრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, ბიზნესწრეების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან ბელგიაში, უკრაინაში, საფრანგეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, დიდ ბრიტანეთში, აზერბაიჯანში, საბერძნეთში, შვეიცარიასა და ისრაელში.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით მიმდინარეობს პროგრამა „კვალიფიციური თანამემამულეების დროებითი დაბრუნება (TRQN II)“. პროექტის ფარგლებში დიასპორის წარმომადგენლები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან დროებით არიან მივლინებული სამშობლოში, შერჩეულ სტურუქტურაში კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივად ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტს ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა საქართველოს რეგიონებში სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის შესასწავლად. შესაბამისად პროექტის გუნდი ევროკავშირის 10 ქვეყანაში ქართული დიასპორის წევრებს შორის ეძებს დასახელებულ სპეციალობებში წარმატებულ პროფესიონალებს.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარდა დიასპორული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს იქ მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლების დაახლოებას. მუშავდება დიასპორული ფონდის შექმნის იდეა, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრები ქართველების მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითრებაში.

13. კონფლიქტების მოგვარება

საქართველოს მთავრობის მიზანია ახალი ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის დაახლოებისა და ნდობის აღდგენის მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აწარმოებს კონსულტაციებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ-სახელმწიფოებთან ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით ,,სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ დოკუმენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა და მისი ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენება საოკუპაციო ხაზების ორივე მხარეს არსებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის მიზნით.

საქართველოს მთავრობა მიესალმება საერთაშორისო ჩართულობას ნდობის აღდგენის პროცესში, მათ შორის ეუთოს ეგიდით განხორციელებულ პროექტებს, რომლებიც ემსახურებოდა ზონკარის წყალსაცავის, ზნაურის სასმელი წყლისა და ნიქოზის სარწყავი წყლის სისტემების რეაბილიტაციას. მნიშვნელოვანია ასევე ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისისა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსახლეობის დაახლოებას.

2008 წლიდან გაერო იღებს რეზოლუციას „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. 2013 წლის 13 ივნისს რეზოლუცია კვლავ იქნა მიღებული, გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესიის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ წელს კენჭისყრის შედეგები 2012 წელთან შედარებით გაუმჯობესდა და მხარდამჭერთა რიცხვი 62 მომხრე სახელმწიფოს გაუთანაბრდა.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება არის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ-სახელმწიფოებთან, მათ შორის, მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებითაც. გრძელდება სხვადასხვა რეგიონის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი.

ვანუატუსთან ხელი მოეწერა დოკუმენტს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, რამაც საბოლოოდ წერტილი დაუსვა მანამდე არსებულ გაუგებრობას (პროტოკოლში აღნიშნულია, რომ ვანუატუს რესპუბლიკა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი რეგიონების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჩათვლით).

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ეფექტიანი ზომები სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ICDO) ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანების არდაშვების მიზნით. მიმდინარე წლის აპრილში, ქართული მხარის ძალისხმევის შედეგად, სოხუმის საოკუპაციო რეჟიმმა ვერ შეძლო ქ.

დოჰაში ორგანიზებულ სავაჭრო პალატების მსოფლიო ფედერაციის რიგით მე-8 საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა.

საქართველოს ახალი მთავრობის პოლიტიკა მიმართულია კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი, კონსტრუქციული, გახსნილი და პრაგმატული პოლიტიკისკენ, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მტკიცე არაღიარების პოლიტიკაზე.

მთავრობის მიერ ინიციირებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილება კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის პირველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა დაეკისრება, ასევე მიეცემა გაფრთხილება.

ქართულმა მხარემ მიაღწია პროგრესს ისეთ საკითხებში, როგორიცაა უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების საქმეების გამოძიება და ოსი პატიმრების გათავისუფლება.

გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევებსა და ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება. მიმდინარეობს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე სოფლებისა და თემების საჭიროებების შესწავლა, რაც მიზნად ისახავს, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასახმარებლად.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს 2011 წლის 9 ნოემბერს საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საბაჟო ადმინისტრირებისა და საქონლის გადაადგილების მონიტორინგის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაციის მექანიზმის შექმნაზე.

საქართველოს მთავრობა მუშაობს გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის - შეხვედრების აღდგენაზე. ცხინვალის მიმართულებით აღნიშნული მექანიზმი შეუფერხებლად მუშაობს და საანგარიშო პერიოდში 10 შეხვედრა გაიმართა.

ოკუპირებულ რეგიონებში მაცხოვრებლები აგრძელებდნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მკურნალობის მიღებას თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის საავადმყოფოებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური პროგრამის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობა, ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოქმედი სამეკავშირეო მექანიზმის (Liaison Mechanism) საშუალებით, აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს აწვდის მედიკამენტებსა და სამკურნალო მომსახურებას. სამეკავშირეო მექანიზმი წარმატებით ასრულებს ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს შორის კონტაქტების შენარჩუნების მისიასაც. ის აგრეთვე ახდენს აფხაზეთის რეგიონში ადგილობრივი ფერმერებისათვის პესტიციდებისა და ქიმიკატების მიწოდების ფასილიტაციას.

14. კულტურა და სპორტი

კულტურა და ძეგლთა დაცვა

კულტურის სფეროს სწორი რეგულირებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, დაწყებულია კულტურის პოლიტიკაზე მუშაობა, რაც მომავალში ქვეყნის კულტურის სტრატეგიული გეგმის შემუშავების საშუალებას მოგვცემს.

ხორციელდებოდა თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო- და საბალეტო ხელოვნების, წიგნისა და ლიტერატურის, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის, შეზღუდულ შესაძლებლობათა პირთა ხელშეწყობის პროგრამების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებები, პრიორიტეტების შესაბამისად საუკეთესო პროექტების შერჩევა და მათი განხორციელების ხელშეწყობა.

თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე–4 პლატფორმის ფარგლებში ჩატარდა კულტურის მინისტრთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია; ხელი მოეწერა კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებას სომხეთთან, ისრაელსა და ესტონეთთან. თბილისში გაიმართა ჩინეთისა და თურქეთის კულტურის დღეები, ხოლო ჩინეთში გაიმართა საქართველოს კულტურის დღეები.

სახელოვნებო განათლების სასწავლებლებში გაიმართა კონცერტები და მასტერკლასები, სამუსიკო სასწავლებლებლების სტუდენტებმა მოიპოვეს სხვადასხვა პრემიები საერთაშორისო კონკურსებში.

ხელი შეეწყო საქართველოს 4 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 43 მაგისტრანტს სამაგისტრო პროგრამის დაუფლებაში, 10 მოსწავლის სწავლას სამუსიკო სემინარიაში.

საქართველოს 5 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტები აღიჭურვა კინოჩვენებებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აპარატურით და განხორციელდა მონტაჟი. დასრულდა კიდევ 4 მუნიციპალიტეტში კინოჩვენებების აღდგენის მოსამზადებელი სამუშაოები.

სამინისტროსა და თიანეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი და მიმდინარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ღია კინოთეატრის რეაბილიტაცია და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი.

საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში განხორციელდა ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“ და მოეწყო ანიმაციური ფილმების ჩვენება. 2 მუნიციპალიტეტში დამთავრდა სამხატვრო სკოლებთან არსებული ანიმაციური სტუდიების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით და 20 მუნიციპალიტეტის სამხატვრო-სახელოვნებო სკოლების სამხატვრო ინვენტარით აღჭურვის მოსამზადებელი სამუშაოები.

საქართველოს რეგიონებში თეატრალური დასებისა და სტუდიების საქმიანობის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები, აგრეთვე - რეგიონებში ფოლკლორის მხარდაჭერის ღონისძიებები.

გაიმართა ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი“, მოეწყო მოკლევადიანი ექსპედიცია პანკისის ხეობაში ქართულ-ჩრდილოკავკასიური მუსიკალური კულტურის შედარებითი შესწავლისათვის, ქორეოგრაფიული ექსპედიცია „ხალხური ცეკვის ნიმუშების დაფიქსირება - საარქივო მასალების შექმნა“ ზემო სვანეთსა და ქვემო რაჭაში, ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლის „ბერმუხა“ მასტერკლასები და კონცერტები აჭარის 5 მუნიციპალიტეტში. დასრულდა 32 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის 45 ფოლკლორული ანსამბლის ხალხური მუსიკალური საკრავებით აღჭურვის მოსამზადებელი სამუშაოები. 2013 წლის 26 მაისს საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები.

გაიმართა გამოჩენელი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი საიუბილეო და საქველმოქმედო ღონისძიებები.

დასრულდა 2 მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გამოიცა 3 მუზეუმის გზამკვლევი და 3 სამეცნიერო ნაშრომი; ამ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 9 მუზეუმში; მოეწყო 2 ტრენინგი საქართველოს მუზეუმების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

განხორციელდა 5 ძეგლის, მათ შორის, შატილისა და ვარძიის კომპლექსების სხადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები; შესრულდა სამთავისის დასავლეთის კარიბჭის ტიმპანზე აღმოჩენილი მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები; გაფორმდა ხელშეკრულებები 12 ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად; მომზადდა 2 ეკლესიის ფრესკების რეაბილიტაციის პროექტი; გაფორმდა ხელშეკრულებები 8 ძეგლის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის 10 უძრავი ძეგლის, მათ შორის 2 კომპლექსური ძეგლის, რეაბილიტაციის პროექტები. ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა კულტურული მემკვიდრეობის 7 უძრავი ძეგლის საკონსერვაციო–საპროექტო დოკუმენტაციისა და 1 ეკლესიის მხატვრობის კონსერვაციის პროექტების მოსამზადებლად. ქართველ ექსპერტთა ჯგუფი ოთხჯერ ეწვია იშხანს ძეგლზე თურქეთის მხარის მიერ წარმოებულ სამუშაოებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ქართველ სპეციალისტთა ვიზიტი განხორციელდა აგრეთვე კვიპროსში, იტალიასა და სომხეთში.

მიმდინარეობს ბაგრატის საკათედრო ტაძრის იატაკის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. მუშავდება მცხეთის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა და მარეგულირებელი დოკუმენტები, მინდინარეობს მცხეთის კულტურული ლანდშაფტის კვლევა, მიმდინარე და დაგეგმილი ახალმშენებლობების ზეგავლენის შეფასებისა და ლანდშაფტის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მიზნით.

ინგლისურ ენაზე ითარგმნა და იუნესკოში გადაიგზავნა 2 ძეგლის რენომინაციის აპლიკაცია და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული შეფასება–ანგარიში.

მოეწყო 6 ტრენინგი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. 4 მუზეუმ-ნაკრძალში გაიმართა თემატური საინფორმაციო ღონისძიებები. ახალი ექსპოზიცია მოეწყო 1 მუზეუმ-ნაკრძალში. მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი უფლისციხის შესახებ. განისაზღვრა 14 მუზეუმ-ნაკრძალის არეალი. გამოსაცემად მომზადდა გზამკვლევი – „კახეთის ღვინის გზა: უჯარმიდან ალავერდამდე“ (მომზადდა კონცეფცია, შეირჩა ფოტომასალა და მიმდინარეობს ტექსტების მომზადება). მზადდება ჟურნალი – „ძველი ხელოვნება დღეს“ (მიმდინარეობს მასალების შეგროვება – სტატიები, ფოტოები);

სპორტი და ახალგაზრდობა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე, შეიქმნა საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანებია:

- სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბება, ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის სფეროში კანონმდებლობასთან თანმხვედრი პოლიტიკის განსაზღვრა, მასობრივი სპორტის („სპორტი ყველასათვის“), უმაღლესი მიღწევების სპორტისა და პროფესიული სპორტის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემაში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება და მათი საქმიანობის კოორდინაცია;
- ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა, ცენტრალური ქალაქებისა და რეგიონების მაცხოვრებლების, მათ შორის, ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, სოციალური კონტაქტებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- საქართველოში სპორტული განათლებისა და მეცნიერების (მათ შორის მედიცინის) შემდგომი განვითარება, ამ მხრივ გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან;
- ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება და ხელშემშლელი მიზეზების გამოვლენა, სახელმწიფო ვალდებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

სპორტის დეპოლიტიზაციისა და დეცენტრალიზაციის მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეროვნული სპორტული ფედერაციების უმეტეს ნაწილში ჩატარდა არჩევნები, რომლებიც წარიმართა დემოკრატიულ პირობებში და გამორიცხული იყო ყოველგვარი ჩარევა სახელმწიფო უწყებების მხრიდან. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს აღნიშნული პროცესების შემდგომ განვითარებას.

მოსახლეობის ყველა ფენისათვის სპორტში ჩაბმის ხელმისაწვდომობის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები მასობრივი სპორტის სფეროში, რომლებიც

ჩატარდა ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“, ასევე სხვა სპორტული ფედერაციების საშუალებით.

აქტიურად მიმდინარეობს 2015 წლის ევროპის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესი.

ქვეყანაში უმაღლესი სასპორტო განათლების ხელშეწყობის მიზნით, დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც უნდა გააგრძელოს ყოფილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მდიდარი ტრადიციები.

სპორტული მედიცინის განვითარებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კვლავაც გრძელდება საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციისა და ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს დაფინანსება, რომელიც, თავის მხრივ, მომსახურებას უწევენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს.

15. საჯარო სამსახურის რეფორმა და სხვა ინსტიტუციონალური რეფორმები

საჯარო სამსახურის რეფორმის ხელშეწყობისათვის მომზადდა კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებულ თანამდებობის პირთა ნუსხის გაფართოებას და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის“ შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში მამხილებელთა დაცვის არსებული მექანიზმების გაძლიერებასა და მამხილებელთა დაცვის სრული გარანტიების ჩამოყალიბებას. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურის ანგარიშვალდებულების განმტკიცებასა და საჯარო მოხელეთა სამართალდარღვევებისა და/ან ეთიკის ნორმების დარღვევის დროულ გამოვლენას.

კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშავდა რეგულაციები, რომლებიც საშუალებას იძლევა მთავრობისა და საჯარო დაწესებულებების საქმიანობა გახდეს სრულიად გამჭვირვალე. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ საჯარო ინფორმაცია ელექტრონულად გამოითხოვონ, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციები ვალდებული არიან, საჯარო ინფორმაცია პროაქტიურად (თავიანთივე ინიციატივით) გამოაქვეყნონ.

მიმდინარეობს მუშაობა მთავრობის პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული, არაპოლიტიკური საჯარო სამსახურის შექმნის მიმართულებით. ივლისში მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საჯარო სამსახურის რეფორმის საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შედიან სხვადასხვა სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგებლები. USAID-ის დაფინანსებითა და ხელშეწყობით წლის ბოლოსათვის დასრულდება საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის შემუშავება, რომლის პროცესშიც აქტიურად არიან ჩართული USAID-ისა და OECD SIGMA-ს მიერ მოწვეული უცხოელი ექსპერტები. პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალედ, მასში ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები. წლის ბოლომდე დაგეგმილია მრგვალი მაგიდების მოწყობა და კონცეფციის პროექტის საჯარო განხილვა.

ამ საქმით დაინტერესებული არიან და მხარს გვიჭერენ დონორი ორგანიზაციები. მთავრობის ხელშეწყობით 2013 წელს, USAID-ის ღია მმართველობის პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს 3000 საჯარო მოხელის ტრენინგი 10 მიმართულებით. ნატოს სამოკავშირეო ოფისის დახმარებით შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი და ჩატარდა ტრენინგები. ევროკავშირის დაფინანსებით აგრეთვე მოეწყო ელექტრონული მთავრობის საკითხებში საჯარო მოხელეთა ტრენინგი.

16. თვითმმართველობა და რეგიონული განვითარება

თვითმმართველობის კოდექსი

ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელსაც საქართველოს მთავრობა გეგმავს, თვითმმართველობის რეფორმაა. 2013 წლის მარტში მთავრობამ მოიწონა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტრატეგია, რომლის შემდეგაც სახელმწიფო უწყებებისა და თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობით დაიწყო რეფორმისათვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტის შემუშავება. სამუშაო პროცესში სამინისტრო საქართველოს რეგიონებში ინტენსიურად მართავდა შეხვედრებს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, ისე არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებთან.

რეფორმის შედეგად სრულიად შეიცვლება დღეს არსებული მანკიერი სისტემა. გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. თვითმმართველი ერთეულების მმართველი რგოლები იქნება არჩევითი. ასევე, განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა. შემუშავდება რეფორმისათვის საჭირო გეოინფორმაციული სისტემა.

რეფორმის შედეგად, ასევე გაიზრდება მოქალაქეთა ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი; ადგილებზე სასიცოცხლო ინტერესების გადაწყვეტა გაზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული ჯგუფების ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების ალბათობის შემცირებას; ადგილებზე შეიქმნება ინიციატივიან პირთა გამოვლენისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში (საჯარო სამსახურებში, პოლიტიკურ პარტიებში და სხვ.) კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევის პროცესს.

ამ ეტაპისათვის უკვე დასრულებულია თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობა. ამჟამად მიმდინარეობს მთავრობის მიერ კოდექსის განხილვის პროცესი. სამინისტროების მიერ გამოთქმული შენიშვნების შემდეგ თვითმმართველობის კოდექსი გადამუშავდება და დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას, რის შემდეგაც პროცესი საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებს.

თვითმმართველობის კოდექსის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივი თვითმმართველობის საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციები და საექსპერტო წრეები, რამაც განაპირობა ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტზე მუშაობის დროულად დასრულება.

რეგიონების განვითარების სტრატეგიები

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 13 სექტემბერს დაამტკიცა ქვეყნის 7 რეგიონის - ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიები (იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის განვითარების სტრატეგიები დამტკიცებულია 2012 წელს). სწორედ აღნიშნული სტრატეგიების მიხედვით უნდა მოხდეს მომდევნო წლებში საქართველოს რეგიონების განვითარება.

შემუშავებული ხედვები, პრიორიტეტები და ამოცანები ეფუძნება თითოეული რეგიონისა და მათი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს. სტრატეგიების მომზადებაში ჩართული იყვნენ რეგიონული განვითარების საბჭოები, მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი ექსპერტები, დონორი ორგანიზაციები. დოკუმენტში გათვალისწინებულია თითოეული რეგიონის სპეციფიკა, მათი უპირატესობები და პერსპექტიული მიმართულებები. შესაბამისად, წარმოდგენილია სისტემური მიდგომები როგორც საბაზო საჭიროებებზე მოკლე- თუ საშუალოვადიანი რეაგირებისთვის, ისე ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტიმულირებისთვის.

გარდა ამისა, მეტ-ნაკლებად მსგავსი გამოწვევების დაძლევისა და განვითარების ქმედითი მხარდაჭერისათვის, სტრატეგიები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის სისტემურ მიდგომებს, რომელიც უკავშირდება: ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობებისა და ადამიანური/სოციალური კაპიტალის დონის ამაღლებას; ბუნებრივი რესურსების გონივრულ მართვა-გამოყენებასა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას; ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანობის ზრდისათვის დაგეგმარების თანამედროვე სისტემების დანერგვას; ადგილობრივი სამიმწოდებლო ბაზის, მცირე და საშუალო ბიზნესების, ე.წ. სტარტაპების განვითარების ხელშეწყობას; რეგიონული და ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას; კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგებას; სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებას და სხვ.

ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოს მთავრობა ფართომასშტაბიანი თუ მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას განიხილავს როგორც ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. სწორედ ამიტომ, ერთნაირად აქტიურად მიმდინარეობს როგორც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი, ისე მუნიციპალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, ნაპირდაცვისა და სხვა ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ინტენსიურად მიმდინარეობს ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის - აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესი. ამ ეტაპზე:

- სამუშაოები მიმდინარეობს რუისი-აგარის 19-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის ნაწილიც 2013 წლის ბოლოსთვის დასრულდება;

- მშენებლობა გრძელდება ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 58-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომლის ერთი ნაწილის - ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა, ასევე წლის ბოლოსთვის დასრულდება;
- ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი ლოტის (15 კმ) მშენებლობა; უკვე დაწყებულია ამავე გზის მეორე ლოტით გათვალისწინებული 18-კილომეტრიანი გზის მშენებლობაც;
- დაიწყება სამტრედია-ლანჩხუთის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა;
- ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისთანავე, დაიწყება თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა;
- მიმდინარეობს ჩუმათელეთი-ზესტაფონის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება.

მთლიანად, 2013 წელს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე დაგეგმილია მოძრაობის გახსნა 52 კილომეტრზე, მაშინ, როცა 2012 წელს მოძრაობა გაიხსნა მხოლოდ გზის კილომეტრნახევრიან მონაკვეთზე.

ინფრასტრუქტურის მიმართულება ასევე მოიცავს: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების (250 კმ), ხიდების (30 ხიდი), გვირაბების (3 გვირაბი) მშენებლობა-რეაბილიტაციას, საქართველოს რეგიონებში (42 მუნიციპალიტეტში) წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას. ასევე, ნაგავსაყრელების მართვასა და ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების განხორციელების კოორდინაციას.

გარდა ცენტრალური ავტომაგისტრალის მშენებლობისა, აქტიურად მიმდინარეობს, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც. მათ შორის:

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის კობი-გუდაურის 19-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც ოქტომბრის ბოლოსთვის გაიხსნება. აღნიშნულ გზაზე მოხდა მიწის ვაკისის დეფორმირებული მონაკვეთების აღდგენა, რკინა-ბეტონის მილების, საყრდენი კედლების, გაბიონების, ქვედა საყრდენი კედლების, ავტოტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილების მოწყობა, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, გალერეების სახურავების კოჭების გამოცვლა, მეწყერდამცავი გრუნტის საფარისა და სადრენაჟე არხის მოწყობა, გალერეების კედლებისა და ბოძების შეკეთება, სამი გვირაბის დრენაჟებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა, გვირაბების გადახურვა, იზოლაციის გამართვა, გვირაბების ბეტონის ფენით ტორკირება, ქვის წყობის ორი თაღოვანი ხიდის რეაბილიტაცია, გზის მონიშვნა და საგზაო ნიშნების დამონტაჟება;
- წლის ბოლოსთვის დასრულდება თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობა. აღნიშნული გზა სატრანზიტო დანიშნულებისაა. შესაბამისად, მისი დატვირთვა ძალიან მაღალია. აღნიშნულ გზაზე არსებული 500 მეტრის სიგრძის საავტომობილო ხიდი, რომელსაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მიმდინარე წლის ივნისში გაიხსნა;
- დაიწყო ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა, რომლის პირველი ეტაპის ღირებულება 15 მლნ ლარია. ანალოგიური სამუშაოები დაიწყება ბათუმშიც;
- მდინარე ალაზანზე მიმდინარეობს მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები. უკვე მრავალი წელია, აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარის ადიდების დროს საქართველო ტერიტორიებს კარგავს. ალაზნის სანაპირო ზოლის გაუმაგრებლობის შემთხვევაში, საფრთხე

ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიის 200 ჰექტარზე მეტ მიწას, რომელიც, წყლის მოვარდნის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიას მოწყდებოდა. სამუშაოები 2013 წლის მაისში დაიწყო და წლის ბოლოსთვის დასრულდება;

- კონფლიქტის ზონაში ხორციელდება სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია; ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, პატარა ლიახვის ხეობაში, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების - ზარდიანთკარის, დიდი ხურვალეთის, გუგუთაანთკარისა და კოშკას მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს დამატებითი ჭაბურღილების ბურღვა. პროექტის განხორციელების შედეგად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების ნაწილს წყალმომარაგების პრობლემა მოუგვარდება და მოსახლეობა წყალს ყოველდღიურად მიიღებს. კონფლიქტის ზონის სოფლებში, ასევე, მიმდინარეობს არაერთი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაიწყო ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის 60 მლნ ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება. პროექტის შედეგად, ფოთსა და ანაკლიას მთლიანად, ასევე, ქუთაისის 75%-ს 24-საათიანი, ხოლო 25%-ს გაუმჯობესებული წყალმომარაგება ექნება;
- შეძენილ იქნა წყლის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მობილური ლაბორატორიები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში გადანაწილდა და ემსახურება ყველა იმ დასახლებულ პუნქტს, სადაც ამის საჭიროება ჩნდება;
- საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის შედგა შეთანხმება, რომელიც 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში წყალმომარაგების სამუშაოებს ითვალისწინებს. ამისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 40 მლნ ევროს დაფინანსებას მიიღებს, ხოლო პროექტებს განახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამ ეტაპზე უკვე მზად არის ყველა ძირითადი პროექტი და ყველაზე პრობლემურ მუნიციპალიტეტებში მომდევნო წლიდან დაიწყება წყალმომარაგების გასაუმჯობესებელი სამუშაოები. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უპრეცედენტო პროგრამა წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით, ვინაიდან 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში სამუშაოები პარალელურად განხორციელდება;
- ნაგავსაყრელების ეფექტიანი მართვის მიზნით შემუშავდა „მუნიციპალური გადანაყრების პოლიგონების ექსპლუატაციის ინსტრუქციის“ დოკუმენტი; ქვეყნის მასშტაბით, ნაგავსაყრელების მოწესრიგების მიზნით, პირველადი საექსპლუატაციო სამუშაოები ჩატარდა და მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელდება შემდეგ ქალაქებში: გორი, თელავი, ხაშური, დედოფლისწყარო, ბაკურიანი, გურჯაანი, წნორი, დუშეთი, ზესტაფონი, სამტრედია, ხარაგაული, თერჯოლა, ონი, საჩხერე, ამბროლაური, კასპი, ქსანი, საგარეჯო, ზუგდიდი, ქარელი, აგარა, ოზურგეთი, სენაკი;
- შემუშავდა იმერეთის რეგიონის ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს დაიწყება იმერეთის ახალი, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობა, ხოლო ქუთაისის არსებული - ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელი დაიხურება და რეკრეაციულ ზონად გადაკეთდება. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება 2016 წლისთვისაა დაგეგმილი;
- მესტიაში გრძელდება თეთნულდის სათხილამურო კურორტის განვითარების პროექტის განხორციელება. ამ დროისთვის 3,2 ჰექტარზე მოეწყო სასაწყობე მეურნეობა, სადაც უკვე დასაწყობებულია 104 კონტეინერი. დამატებით, წლის ბოლომდე დასაწყობდება 66

კონტეინერი. მთლიანად, წელს, ოქტომბრის ბოლომდე მოხდება 170-მდე კონტეინერის დასაწყობება, ხოლო 2014 წლიდან დაიწყება ახალი საბაგირო გზების დამონტაჟება.

საქართველოს მთავრობა აგრძელებს ქვეყნის რეგიონების უპრეცედენტო მხარდაჭერას. მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საქართველოს რეგიონებისათვის დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნული პროგრამების საერთო ღირებულება 270 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს, რაც, წინა წლებთან შედარებით, უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული თანხების ფარგლებში, ხდება წლების განმავლობაში დაგროვილი ისეთი ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა მუნიციპალური გზების, წყალმომარაგების, ნაპირდაცვისა და სხვა მსგავსი საკითხების მოწესრიგება. ორივე პროექტის ფარგლებში ხორციელდება 8 ათასამდე საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც ადგილებზე მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მთლიანობაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდითა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონების მიხედვით პროექტები ასე გადანაწილდა:

- აჭარა - 630 პროექტი; ჯამური ღირებულება - 4 890 032 ლარი;
- გურია - 635 პროექტი; ჯამური ღირებულება - 18 140 886 ლარი;
- იმერეთი - 1608 პროექტი, ჯამური ღირებულება - 61 693 407 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1249 პროექტი; ჯამური ღირებულება - 45 209 979 ლარი;
- რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი - 374 პროექტი; ჯამური ღირებულება - 10 112 137 ლარი;
- შიდა ქართლი - 533 პროექტი, ჯამური ღირებულებაა - 24 335 010 ლარი;
- მცხეთა-მთიანეთი - 603 პროექტი, ჯამური ღირებულება - 14 141 332 ლარი;
- სამცხე-ჯავახეთი - 481 პროექტი, ჯამური ღირებულება - 23 047 232 ლარი;
- ქვემო ქართლი - 512 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 770 843 ლარი;
- კახეთი - 672 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 724 750 ლარი.

მომდევნო წლისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სამი ახალი ინიციატივით გამოდის. პირველი ეხება სტიქიური მოვლენების პრევენციას, მეორე - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, მესამე კი სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას გულისხმობს. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებს უკვე მიეცათ დავალება, რომ თითოეული მიმართულებით პრიორიტეტული პროექტები წარმოადგინონ. ეს ინიციატივა რეგიონებში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებას შეუწყობს ხელს.